გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№68 (963) 27 - 29 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## საქართველოში საწვავი 5 თეთრით გაძვირდება



გვ. 7



# ალექსანდრე ქანთარიას კითხვები ხელისუფლებას

ჩემთვის მეორე ტური მოულოდნელი და მიუღებელი იყო. ხალხის ეს პასიურობა ჩვენთვისაც დამაფიქრებელია და ამ მიზეზების კვლევაა საჭირო. ხალხის ნაწილი ჩვენზე გაბრაზებულია, ნაწილი გაგვებუტა და ესეც ბუნებრივია. ახლაც მხვდებიან და მეუბნებიან, ხმა განგებ არ მოგეცითო. ეს არჩევნები ნაციონალების მოშორების მესამე რაუნდი უნდა ყოფილიყო. ამ პარტიისთვის წერტილი უნდა დაგვესვა და როგორც ჩანს, მრავალწერტილი დავუსვით. ეს ჩვენი ბრალიცაა — ხალხს კითხვები უჩნდება... მეც მიჩნდება...

გვ. 3

რას საყვედურობს პროკურატურას და რა შემთხვევაში დაიჭერს „ოცნება“ ნინო ბურჯანაძეს

## რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საბიუჯეტო სახსრებს ვერ ხარჯავს?

რა მიზეზით შეფერხდა წყალმომარაგების პროექტები და როგორ ზოგავენ სატენდერო თანხას სამინისტროში

გვ. 5

## „მეც ბევრი შეცდომა დავუშვი...“

დიმიტრი შაშკინი ნაციონალებს ურჩევს, კომპლექსებისგან გათავისუფლდნენ და პარტიის მზარდ რეიტინგზე არ ისაუბრონ



გვ. 4

## პუტინის „ვენური ვალსი“




გვ. 8

რუსეთის პრეზიდენტს ვენაში ქართველები და უკრაინელები საპროტესტო აქციით დახვდნენ

სპეციალური რეპორტაჟი ავსტრიიდან

## მეგობრებისთვის, უბრალოდ, ჰოიზერი



ლუდი, რომელიც გაგრძნობინებთ გერმანული ცხოვრების გემოს

გვ. 5

## m²-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ვაჟა-ფშაველას გამზირის ადაპტაცია დააფინანსა

m²

დეველოპერული კომპანიის, „სიცოცხლის ხის“ და „სოცკოდექსის“ დამსახურებით გამზირი 183 პანდუსით აღიჭურვება

გვ. 7

## პატიმრის დღიური

გვ. 6



## როგორ „გააფუჭა“ ნიკა რურუამ მეგობარი შეუსრულებელი მისიის გამო

# ლობიოობა და დემოკრატია ქართულად





გიორგი იაშვილი

სიმართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ, ბოლოს როდის ვახსენე სტატიაში ჯაბა იოსელიანი, მაგრამ ახლა მიწევს. კადრებიც არსებობს, როცა „მხედრიონის“ მამამთავარი ამბობს: „ვიღაცას ჰგონია, რომ დემოკრატია ლობიოობაა, არადა დემოკრატია ლობიოობა არ არის და ეს ყველამ უნდა იცოდეს“...

დემოკრატია და ლობიოობა კი 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა გამახსენა. პირველად მოხდა, რომ თვითმმართველი ქალაქები მერებს ირჩევდნენ, მთელი საქართველოს მასშტაბით კი, ამომრჩეველმა გამგებლები აირჩია. ამ ყველაფერს ის მოჰყვა, რომ რამდენიმე ქალაქში მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო და ამან ისედაც გათამამებული საპარლამენტო უმცირესობა (ისე, სიტყვა „უმცირესობა“ ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე მეტად უხდება) უფრო გაათამამა. ხელისუფლებას კი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქვეყანაში დემოკრატიაა და არა „ლობიო“, მძიმე დღეები უდგას. მოდით, რიგითობით მივყვეთ და სანამ დედების ხსენებაზე გადავალთ, სიდედრები ვახსენოთ.

წინა ხელისუფლების პირობებში, პოლიტიკოსის ყველაზე ცნობილი დედა ქალბატონი გიული ალასანია იყო. მასზე ათას ჭორ-მართალს ჰყვებოდნენ და ამბობდნენ იმასაც, რომ მთვრალი მიშიკოს ანტიდეპრესანტი სწორედ დედამისი იყო. ეს, რა თქმა უნდა, კულუარულად, თორემ სინამდვილეში, ვინ ვისი ანტიდეპრესანტი იყო, კაცმა არ იცის. აი, დანარჩენ შემთხვევაში წინა პლანზე სიდედრები ინაცვლებდნენ. განსაკუთრებული აქტიურობით გივი თარგამაძის სიდედრი გამოირჩეოდა. აქაოდა, ჩემი სიძე საუბრით არ გადაღალონო, სიდედრი იყო ყველგან და უფასდებოდა კიდეც — მის საკუთრებაში სამშენებლო ფირმაც გახლდათ და ვაკეში მშენებარე კორპუსიც.

საქმეში იყო ჩართული გიგი უგულავას სიდედრიც, მაგრამ ყველაზე მეტად ჯერ კიდევ ნამერალის „შაქარ-დედიკო“ მაშინ დამამახსოვრდა, როცა სიძის გიროს სანაცვლოდ საკუთარი ბინის ბანკში ჩადება არ დაზარებია. არადა, საუბარი სულ რაღაც 50 ათას ლარზე იყო და როგორ გინდა, არ გაიხსენო ის, რომ თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე უგულავას ლას-ვეგასის კაზინოების ბიუჯეტის შევსებას ედავებოდნენ, მერე 50 მილიონის ჯიბეში ჩადებას, მერე კიდევ... ნუ, პლასტიკური ოპერაცია და ჯენიფერ ლოპესისდარი უკანალის მიღება ძალიან ძვირი არ ჯდება. ყოველ შემთხვევაში, უკანალების სპეციალისტებმა ასე თქვეს. როცა უკანალების სპეციალისტს ვახსენებ, არ გეგონოთ, რომელიმე პოლიტოლოგს ვგულისხმობდე, პლასტიკური ქირურგები მყავს მხედველობაში...

მოკლედ, დაინიშნა მეორე ტური და აქეთ გივიმ წამოჰყო თავი და იქეთ გიგიმ. კონკრეტულად ამ ორ პოლიტიკოსზე იმიტომ ვამბობ, რომ შეურაცხყოფაზე არიან გადასულები და თუ უგულავა პრემიერ-მინისტრს ცვედანს ეძახის, თარგამაძე არც პრემიერს აკლებს და არც დავით ნარმანიას. ცნობილი კადრების შემდეგ, რომელშიც ნარმანიას დედა ფიგურირებს, თარგამაძემ „ქართული ოცნების“ კანდიდატს სულ დედიკოს ბიჭი ეძახა. არადა, საკუთარი ტიტული — „სიდედრიჩი“ დაავიწყდა. ამიტომაც ვახსენებთ წარსულს, მით უმეტეს, ნაციონალები გაიძახიან, ქართველი ერის გონიერების იმედი გვაქვს და გვჯერა, მოკლე პოლიტიკური მეხსიერება არ აქვთო. მართლები არიან ნაციონალები, მოკლე არც ცოცხის ტარი იყო და არც „დუბინკის“ და რაღა მეხსიერება იქნება?..

ამომრჩეველი კი, ნათლად ჩანს, რომ დემოკრატიასა და ლობიოობას ერთმანეთში ურევს და ნერვები ეშლება. მოსახლეობა უნიათობაში სდებს ბრალს ხელისუფალთ და ბოლომდე მტყუანი არ უნდა იყოს. ხათუნა გოგორიშვილი არჩევნების გაყალბებაზე რომ დაიწყებს საუბარს, უკვე საინტერესოა და ეს ინტერესი გოგორიშვილს სწორედ ხელისუფლებამ გაუღვიძა. ტყუილად არიან მოქმედი ხელისუფალნი იმის იმედად, რომ ნაციონალების საქმენი საგმირონი ახსოვს ამომრჩეველს, რადგან არჩევნებიდან არჩევნებამდე მათი რეიტინგი იზრდება და იზრდება სწორედ იმის ხარჯზე, რასაც იოსელიანი ლობიოობას ეძახდა.

ვერ გეტყვით, ვინ ურჩია ხელისუფლებას, ოპონენტების ლანძღვისაგან თავი შეიკავონ, მაგრამ ფაქტია, „ოცნების“ ლიდერები ნაციონალებს არც დედიკოს ბიჭებს ეძახიან, არც ცვედანებს და, მით უმეტეს, არც მეტსახელებით მიმართავენ. ეს იმ ფონზე, როცა ზოგს ჰაკიმ ფაშა ჰქვია, ზოგს კიდევ ზოოპარკის დირექტორი. ზოგადად, წინა ხელისუფლებას იმდენი „ცხოველი ზონდერი“ ჰყავდა, ზოოპარკის დირექტორობაზე თუ ვინმეს უნდა ჰქონოდა პრეტენზია, სწორედ მათ ლიდერს, მაგრამ მაშინ ყველაფერი სახელმწიფოს სახელით კეთდებოდა და... მელიაც ცხოველია ისე, რომ იცოდეთ და დააკვირდით, არ ვამბობ ზონდერი-თქო, ცხოველია, ცხოველი... ქათმების მოყვარული და მართალია, ოფიციალურად საქართველოში კანონი ქათმებსაც იცავს, მათდამი სიყვარულს აშკარად არ კრძალავს.

დიდი ალბათობით, არჩევნების მეორე ტურში „ქართული ოცნების“ კანდიდატები გაიმარჯვებენ, მაგრამ ოპოზიცია კბილებით რომ იბრძოლებს, ფაქტია. სწორედ ამიტომ გაჩნდა შავი ფულის თემა და არავის ეგონოს, ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ იმ მილიონის იმედად იქნება, რომელიც აზერბაიჯანიდან მოჰქონდა და რომელიც ადგილამდე ვერ მოვიდა. ვიღაცები სიდედრებს შეაწუხებენ, ვიღაცები საკუთარ ბიუჯეტს და იმდენი მილიონი მოგროვდება, ერთს კი არა, რამდენიმე არჩევნებს ეყოფა. მანამდე კი, ხელისუფლება ყლაპავს „დედიკოს ბიჭს“ და ყლაპავს მათგან, ვისზეც მთელი თბილისი ისედაც სწორედ ამ ტერმინით საუბრობდა. ნაციონალური მოძრაობა იერიშზეა გადმოსული და გაიძახის, ხელისუფლება დებატებზე უარს ამბობსო. არადა, ამათ პიარს რა ვუთხარი, თორემ დებატებს სიხარულით დავთანხმდებოდი და ყველა კითხვაზე ერთადერთი პასუხი მექნებოდა: ნაციონალებო! მაგრამ პიარს კი არა, ამას წინ ერთ-ერთი პოლიტიკოსის ტელეფონის ნომერი ვიკითხე, ორი კვირაა ვურეკავ და არ იღებს. არადა, ეგებ ნასოსი მინდა და მეტი არაფერი...

**P.S. ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია პროექტ „თბილისიას“ ახორციელებს. ჰოდა, სადაც „თბილისია“ და არა თბილისი, იქ მერობისთვის ნარმანია და მელია რომ იბრძოლებენ, ნუ გაგიკვირდებათ.**



## შსს-მ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებული სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები: 200 აბი „ექსტაზი“, 250 აბი „სუბუტექსი“, 200 აბი კოდეინისშემცველი ნარკოტიკული საშუალებები, 500 ამპულა მორფინი, 3 კილოგრამამდე ჰეროინი, 140 კგ კანაფი და 26 კგ მარიხუანა ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით ახალი ტექნოლოგიით, მაღალტემპერატულ ღუმელში გაანადგურა.

სამართალდამცველები 3 თვეში ერთხელ ანადგურებენ ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს, რომლებზეც სასამართლოს შესაბამისი განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, ნარკოტიკების განადგურების პროცესს მთავარი პროკურატურისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

*„ვერსიანიუსი“*



## შსს-ს მაშველებმა სამაშველო ღონისძიება წარმატებით ჩაატარეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა სამაშველო ღონისძიება წარმატებით განახორციელეს და სოფელ ჭეშოდან დაშავებული ქალბატონი ვერტმფრენით თბილისში ჩამოიყვანეს.

ახმეტის რაიონის სოფელ ჭეშოს მაცხოვრებელმა 60 წლის ქალბატონმა თავის არეში ტრავმა მიიღო და მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ჰოსპიტალიზაცია. სოფელ ჭეშოს რთული გეოგრაფიული მდებარეობის და გზის მდგომარეობის გამო, დაშავებული ქალბატონის ჰოსპიტალიზირება ვერ მოხერხდა. შსს-ს მაშველებმა ქალბატონი თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც იგი რეანომობილით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## 112-მა ევაკუატორებით დახმარების სერვისი დანერგა



შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტმა თბილისში ევაკუატორებით დახმარების სერვისი დანერგა. ამიერიდან, თბილისში მყოფ ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს, 112-ზე დარეკვით ევაკუატორებით დახმარების სერვისით ისარგებლოს.

ახალი სერვისი თანამედროვე სტანდარტებს პასუხობს. 112-ს გააჩნია თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა, რაც იძლევა ეფექტური კომუნიკაციისა და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, გამოყოფილია სპეციალურად გადახურული სადგომი და ბეტონისსაფარიანი, ახალი დაცული ტერიტორია, რათა სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენისგან არ დაზიანდეს სატრანსპორტო საშუალება. ტერიტორიაზე არსებული 24-საათიანი სათვალთვალო კამერები, დამცავი ღობე და სხვა ინფრასტრუქტურა გამორიცხავს ავტოსადგომზე მესამე პირთა არასანქცირებულ შეღწევას. ავტოსადგომები განლაგებულია დიღომში, ბალანჩინის ქუჩაზე და ვარკეთილში, გახოკიძის ქუჩაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრა საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომის ერთიანი, შეღავათიანი საფასური, რაც ბაზარზე არსებულ ტარიფზე 50%-ით ნაკლებია. ტრანსპორტირების მანძილის ათვლის საფასური იწყება ინციდენტის ადგილზე ევაკუატორის გამოცხადებიდან დანიშნულების ბოლო წერტილამდე.

ევაკუატორებით დახმარების სერვისის დანერგვა ასევე მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული დარღვევებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების დროს, დროებით ჩამორთმეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საჯარიმო სადგომზე დროული და უსაფრთხო გადაყვანისთვის.

*„ვერსიანიუსი“*



# ალექსანდრე ქანთარიას კითხვები ხელისუფლებას

## რას საყვედურობს პროკურატურას, რატომაა მიუღებელი მეორე ტური და რა შემთხვევაში დაიჭერს „ოცნება“ ნინო ბურჯანაძეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სახელისუფლო ეიფორია გრძელდება, თუმცა წინ მეორე ტური და არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევაცაა — „ოცნებამ“ ხალხი თბილისის არჩევნებზე უნდა გამოიყვანოს! მთავრობას, პარალელურად, არც სხვა საფიქრალი ელევა: შემოდგომიდან ნინო ბურჯანაძის საარჩევნო ალიანსი ქუჩის აქციებს იწყებს, რაც პარლამენტის თბილისში ნაწილობრივ გადმოტანას ემთხვევა. საარჩევნო და სხვა მიმდინარე პროცესებზე „ვერსიამ“ „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ისნის მაჟორიტარი ჩაწერა, რომელსაც ხელისუფლებასთან ხალხზე არანაკლები კითხვები ჰქონია. რატომ დაინიშნა მეორე ტური დედაქალაქში, რატომ არ გამოვიდა ხალხი არჩევნებზე, რატომ არ იკითხებიან დამნაშავე ნაციონალები, რას ელის პროკურატურა — „ვერსიას“ ალექსანდრე ქანთარია ესაუბრა.**

— **ითქვა, საპარლამენტო კომიტეტის სხდომები თბილისში გადმოდისო. სხდომების ქუთაისში და კომიტეტების თბილისში ჩატარება ორმაგ ხარჯთან არაა დაკავშირებული და ამაზე ნაციონალები გთანხმდებიან?**

— თბილისში, ოღონდ ნათხოვარ შენობებში, კომიტეტის გასვლითი სხდომები ისედაც იმართება. ამ თემაზე დიდი ხანია ვფიქრობთ და, როგორც კი პარლამენტის შენობის რეაბილიტაცია დასრულდება, რომლის გაყიდვაც ნაციონალებმა ვერ მოასწრეს, მაშინვე გადმოვალთ. იმ დეპუტატებს, ვისაც თბილისში ბინა არ აქვს, ქირას პარლამენტი გადაუხდის. ასე ხდება ყველა ქვეყანაში. ახლა ის ხალხი, ვისაც ბინა ქუთაისში არ აქვს, ზუსტად იგივე მდგომარეობაშია. აღარაფერს ვამბობ ბენზინზე, რაც უაზროდ იხარჯება. შესაბამისად, პარლამენტიც უფრო უნაყოფოდ მუშაობს. გაცილებით მეტის გაკეთება შეგვეძლო, თბილისში რომ ვყოფილიყავით. ნაციონალების ხმის მიცემა და საკონსტიტუციო უმრავლესობა კომიტეტის სხდომების გადმოტანას არ სჭირდება. იმედია, ჭკუას მოუხმობენ და არც ბოლომდე გადმოსვლაში შეგვიშლიან ხელს. თუმცა, ჯერჯერობით, ალბათ, წინ და უკან სიარული ძვირი დაჯდება და, როცა პრემიას ყველას კაპიკ-კაპიკ ვუთვლით, ეს ხარჯებიც კარგადაა დასათვლელი.

— **პარლამენტი საბავშვო ბაღია, დავით უსუფაშვილი ბაღის გამგე — ეს შეფასება დიდი ხანია გვესმის. თავად კმაყოფილი ხართ საკუთარი ნამუშევრით?**

— პარლამენტს გაცილებით უკეთ მუშაობა შეეძლო, თუმცა ამას თავისი შემაფერხებელი გარემოებები აქვს. კინკლაობა და აყალ-მაყალი ყველა პარლამენტშია, მით უმეტეს, როცა საკანონმდებლო ორგანოში ყოფილი დამნაშავე ხელისუფლება მოხვდა. ახლა შესაბამისი გადაწყვეტილებები პროკურატურამ და სასამართლომ უნდა მიიღოს. ნაციონალები აბეზარი ბუზების როლში შევიდნენ პარლამენტში და იქედან აღარ გამოდიან, თუმცა კარგად იციან, რას ელოდონ პროკურატურისგან. უსუფაშვილი კი მარტო ჩვენი კი არა, ყველას თავმჯდომარეა და ზოგჯერ, ამის გამო, ჩემი მხრიდანაც არის ბრალდებები. ეს პრობლემები პარლამენტში 2 წელი კიდევ იქნება.

— **ნაციონალია თუ არა, დეპუტატი დეპუტატია. როცა თქვენს კოლეგებს დევნიან და შეურაცხყოფენ, რა პოზიცია გაქვთ?**

— ძალადობასა და მის წაქეზებას ვემიჯნებით. არც ისეთი ზონდერჯგუფების შექმნას მივესალმები, როგორიც ადრე იყო. 2012 წელს ქვებსა და ჯოხებს გვითავაზებდნენ. ამ მხრივ, დღეს სხვა ფონია. რაც შეეხება ცალკეულ ეპიზოდებს, ეს იმ ხალხში დაგროვილი აგრესიის გამოვლინებაა, ვინც ელოდა და დღემდე ითხოვს ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრებას. ამას მეც მოუთმენლად ველი. პროცესი დაწყებულია, მაგრამ მისი დასრულება არც ისე სწრაფი და იოლი აღმოჩნდა. ყველამ უნდა გაიაზროს, რომ სამართლიანობა სამართლიანად უნდა აღადგინო. თორემ შეგვეძლო, უცებ ყველა ნაციონალისთვის ალყა შემოგვერტყა, ყველანი იმავე დღეს ციხეში აღმოჩნდებოდნენ, მეორე დილას ყველას აღიარებითი ჩვენება გვექნებოდა და ზოგის ჯიბეში ნარკოტიკი აღმოჩნდებოდა, ზოგისაში — იარაღი. რეალურად, ნაცებს „თბილები“ უკვე შეკრული აქვთ და ჩემი ღრმა რწმენით, ზოგიერთი გისოსებსმიღმა აღმოჩნდება, ზოგიც საზღვარგარეთ. დაუსჯელი არავინ დარჩება, ვერავინ გაძვრება და არავის არაფერი ეპატიება. ახლაც ბევრია გამზადებული კანონის წინაშე პასუხის საგებად. მეც მაქვს კითხვები პროკურატურასთან: გია ბარამიძე რომ გაიძახის, დამკითხეთ, დამკითხეთ ზურაბ ჟვანიასა და აფრასიძეების საქმეზეო და ეს კაცი დღემდე დაკითხული არ არის, რა თქმა უნდა, კითხვა მეც მიჩნდება, თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი მოუთმენელია. ყველას მოვუწოდებ — უკანონო გზით „აბაროტის“ აღება მიუღებელია! მეორე მხრივ, პროკურატურაც უნდა გააქტიურდეს, როგორც კი მორატორიუმი დასრულდება. უბრალოდ, საჭიროა წყალგაუმტარი ფაქტები და დროც ამიტომ იწელება.

— **ანუ აღიარებთ, რომ ბრალს ვერ უმტკიცებთ?**

— არა! უბრალოდ, ბრალის დამტკიცებაც გართულდა, რადგან პროკურატურა და სასამართლო ძველი მეთოდებით აღარ მუშაობს. გვინდა, სასამართლო ბოლომდე დამოუკიდებელი იყოს, ეს კი ღირს მოთმენად და მსხვერპლზე წასვლად.

— **მსხვერპლი ხალხია და, როცა ისევ მათ სთხოვთ მსხვერპლზე წასვლას, არ გეშინიათ, ეს აგრესია „ოცნებაზე“ გადმოინთხეს?**

— ხალხსაც აქვს კითხვები ჩვენს მიმართ. ამ ნაციონალებს ამდენს რატომ ალაპარაკებთო, რომ ამბობენ, ვპასუხობ, რომ ცვლილებები მხოლოდ არჩევნებით უნდა მოხდეს. ამის შანსი თბილისის არჩევნებზე გვქონდა, სადაც ხალხის დიდი პროცენტი თუნდაც იმიტომ უნდა გამოსულიყო, რომ მეორე ტურში ისევ ნაციონალი მელია არ გვეხილა. ასე რომ მომხდარიყო, ხალხს სალაპარაკო აღარც ეგ ექნებოდა. სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

— **ახლა არ მითხრათ, რომ მეორე ტურიც ხალხის ბრალია!**

— გამორიცხულია, ხალხს რამე დავაბრალო. ჭიქა რომ გადაბრუნდება და წყალი დაიღვრება, ამაზეც ხელისუფლებაა პასუხისმგებელი! პირდაპირ გეტყვით,

> **ჩემთვის მეორე ტური მოულოდნელი და მიუღებელი იყო. ამის საფუძველს არც ამომრჩეველთან შეხვედრები იძლეოდა. ხალხის ეს პასიურობა ჩვენთვისაც დამაფიქრებელია და ამ მიზეზების კვლევაა საჭირო. ხალხის ნაწილი ჩვენზე გაბრაზებულია, ნაწილი გაგვებუტა და ესეც ბუნებრივია. ახლაც მხვდებიან და მეუბნებიან, ხმა განგებ არ მოგეცითო. ზოგი ამბობს, პირველ ტურზე არ ვიყავი, მაგრამ მეორეზე მოვალო. ცოტა ტრაგიკომიკური და კურიოზულია, რომ ნაციონალების კანდიდატის მეორე ტურში გასვლა სწორედ ამ პასიურობამ განაპირობა. ეს არჩევნები ნაციონალების მოშორების მესამე რაუნდი უნდა ყოფილიყო. ამ პარტიისთვის წერტილი უნდა დაგვესვა და როგორც ჩანს, მრავალწერტილი დავუსვით. ეს ჩვენი ბრალიცაა — ხალხს კითხვები უჩნდება.**

— **თქვენ არ გიჩნდებათ კითხვები საკუთარ ხელისუფლებასთან?**

— მიჩნდება: რაღაც გადაწყვეტილებებს ძალიან ვაგვიანებთ, რაღაცებს მეტისმეტად სწრაფად ვიღებთ. მაგალითად, ნაადრევად ვენდეთ „იმედის“ ეგზიტპოლებს და ნაადრევად გავხსენით შამპანური. ეს კარგი არ იყო, არადა, სხვა ეგზიტპოლების ნახვისას კითხვა გამიჩნდა, ხომ არ ვჩქარობთ-მეთქი.

— **განათლებისა და კულტურის კომიტეტის მუშაობაც შემიფასეთ: ცოტა ხნის წინ თეატრების შესახებ კანონი პირველი მოსმენით მიიღეთ, რამაც აჟიოტაჟი გამოიწვია. ამდენი მსახიობი და რეჟისორია პარლამენტში და ზაზა პაპუაშვილის ამ ინიციატივას მარტო თქვენ რატომ დაუპირისპირდით?**

— ზოგადად, შიში მოხსნილია და თეატრალურ საზოგადოებაში ე.წ. შავი სიები აღარ არსებობს. პრობლემა, ძირითადად, საარსებო თანხებია — თეატრსაც და კულტურასაც დამატებითი ფული სჭირდება. ვითომ გვგონია, რომ კულტურა მოითმენს, მაგრამ ამის შედეგს მერე ყველაფერში ვგრძნობთ ხოლმე. რაც შეეხება კანონს თეატრის შესახებ — ერთ-ერთმა დეპუტატმა პირადი მოტივის გამო ეს კანონპროექტი შემოიტანა. ეს კანონი ჩვენი სადღაც ძალიან უკან, წინა საუკუნის 20-იან წლებში გადასროლაა. კერძო თეატრებში გადაწყვეტილებებს ყველგან დამფუძნებელი იღებს. სახელმწიფო თეატრებშიც დასი კონტრაქტით ყალიბდება. კანონის მიხედვით კი რეჟისორი თავად დასმა უნდა აირჩიოს. ალოგიკურია, დასმა აირჩიოს რეჟისორი, რომელმაც მერე ამ დასს აქეთ უნდა დაუდოს კონტრაქტი. ეს იგივეა, ფეხბურთელებმა მწვრთნელი აირჩიონ და მერე მწვრთნელებმა — მსაჯი. კომიტეტმა კანონი პირველი მოსმენით მიიღო, მაგრამ ამას თეატრალურ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. რეჟისორებმა პროტესტი წერილობითაც გამოხატეს. ეს კანონი არ უნდა გავიდეს და იმედია, ავტორიც უკან გაიწევს. შესაძლოა, მომავალში რაღაც შეიცვალოს, მაგრამ ეს უნდა იყოს ცვლილება უკეთესობისა და არა არეულობისკენ.

— **ასოცირების ხელშეკრულების აღსანიშნავ კონცერტზეც გკითხავთ — არ ვამბობ, რომ არ უნდა გაიმართოს, უბრალოდ, თქვენი ფრაზები მახსენდება, როცა ნაციონალების მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებას „ტაში-ტუშში“ ფულის ხარჯვას უწოდებდით. ეს კონცერტიც „ტაში-ტუშია“?**

— არა, ამას „ტაში-ტუშს“ ვერ დავარქმევ. ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენის ისე გატარება, ვითომ არაფერი მომხდარა, არ შეიძლება. როცა რიგით „ტაში-ტუშზეა“ საუბარი, სხვა საქმეა. თან ყველაფერს აქვს ზომა-წონა. არა მგონია, 27-ში საღამოს ბოლომდე გავიყვლიფოთ და მერე ვიშიმშილოთ. თავს ამის უფლებას არ მივცემთ, მაგრამ ამ მოვლენას სულ ისეც ვერ გავატარებთ. თუმცა არ მინდა, ხალხს ეგონოს, რომ 28 ივნისის დილიდან რძე და თაფლი მდინარეებად წამოვა. ასეთივე არაჯანსაღი მოლოდინი იყო — ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ მოვიდოდა, ვერტმფრენებიდან დოლარებს გადმოყრიდა.

— **მოკლედ, რადარიდან ვერ გააქრეთ ნაციონალები, შემოდგომით ოპოზიცია თქვენი გადადგომის მოთხოვნით აქციებს იწყებს, ხალხსაც კითხვები უგროვდება — თქვენ რას ელით ახალ პოლიტიკურ სეზონზე?**

— დღეს რეალური ალტერნატივა არ გვყავს. ყველამ კარგად იცის და მათ შორის, ოპოზიციურმა ძალებმაც, რომ ისინი ჩვენი ალტერნატივა არ არიან. ეს აბსოლუტური ზღაპარია. არც ის დაგავიწყდეთ, რომ აქამდე არჩევნებში ახალი კვალიფიციური სუბიექტის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გამოჩენა არც კი მოგველანდებოდა. თანაც, ჩვენ ხომ ის ხელისუფლება არ ვართ, რომელიც წასვლას არასდროს აპირებს და აქციებითაა მოსარყევი?! მაშინ ოპოზიციურმა ძალებმა ჩვენზე უკეთესი პროგრამა უნდა დადონ, ხალხს ალტერნატივა უნდა შესთავაზონ. მიკვირს, ზოგიერთი ლიდერის ექსტრემისტული განცხადება, ხელისუფლება არჩევნებით აღარ უნდა შეიცვალოსო — ვინმეს ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს, არჩევნები აღარ გვინდაო. ეს საკუთარი ქვეყნის გადახაზვას ნიშნავს! არა მგონია, მსგავს განცხადებებს ქართველი ხალხი აყვეს. ხალხი ამდენი არჩევნებითა და დაძაბული მდგომარეობითაც მაგრად გადაიღალა.

> **ვადამდელი არჩევნები აღარავის სჭირდება, პირადად ნინო ბურჯანაძის გარდა. კიდევ ორი წელი დაგვრჩა და ვადა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. თუ არადა, მაშინ პარლამენტი არჩევიდან 3 თვეში უნდა დაგვეშალა და მაშინვე ჩაგვეტარებინა ხელახალი არჩევნები. ჩვენთან იგივე მეთოდებით ბრძოლა საკუთარი თავის კომიკურ მდგომარეობაში ჩაყენების ტოლფასია. ამდენი ალღო მგონი, პარლამენტსგარეთ მყოფ ნებისმიერ ლიდერს აქვს, რომ თავი დასაცინად არ გაიხადოს. ლაპარაკით ყველაფერი მოსულა. სიტყვის გამო არავის იჭერენ, მაგრამ თუ ვინმე კანონსმიღმა აღმოჩნდება და საკუთარი მოქმედებით ხელს არეულობას შეუწყობს, ბუნებრივია, დაუსჯელი არ დარჩება. არა მგონია, ვინმემ საქმე დასაჭერად გაიხადოს, მაგრამ კანონს ვინც დაარღვევს, ნუკრი ქანთარია იქნება, თუ ნინო ბურჯანაძე, მას აუცილებლად დაიჭერენ!**

## ვერსიანიუსი

### მაია ფანჯიკიძე არ გამორიცხავს, რომ ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმა საჭირო აღარ გახდეს



საგარეო საქმეთა მინისტრი ალიანსის მიერ თანამშრომლობის ახალი პაკეტის შეთავაზებას ეხმაურება: **„ეს არის ის კონკრეტული დახმარება და კონკრეტული თანამშრომლობის მექანიზმები, რომელიც ბევრად გაზრდის საქართველოს მომზადებას იმისთვის, რომ გახდეს ნატო-ს წევრი“.**

ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, ალიანსი პრინციპულად შეთანხმდა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც მას ნატო-სთან დაახლოებაში შეუწყობს ხელს.

*„პირველი“*



## ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

წელს გამოცდას 36 000-მდე აბიტურიენტი აბარებს. აბიტურიენტებს პირველი გამოცდის ჩაბარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 26-27 ივნისს უწევთ. მეორე გამოცდა 30 ივნისსა და 1 ივლისს ზოგად უნარებშია ჩანიშნული. მესამე უცხო ენის გამოცდაა, 2-3 ივლისს ინგლისური ენის, 4 ივლისს კი რუსული, გერმანული და ფრანგული ენების გამოცდები ჩატარდება. რაც შეეხება დანარჩენ საგნებს, მათი ჩაბარება აბიტურიენტებს შემდეგი გრაფიკის მიხედვით მოუწევთ: 8 ივლისი — ლიტერატურა; 9 ივლისი — გეოგრაფია; 10 ივლისი — ისტორია; 11 ივლისი — მათემატიკა; 14 ივლისი — ქიმია; 14 ივლისი — სტუდენტთა საგრანტო კონკურსი; 15 ივლისი — ბიოლოგია; 16 ივლისი — ფიზიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. საგამოცდო ცენტრები გახსნილია თბილისში, ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, ახალციხეში, გორში, რუსთავში, თელავსა და ხულოში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2014 წლის ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტებს რამდენიმე სიახლეს სთავაზობს. გამოცდებს პედაგოგები და სტუდენტებიც აბარებენ. პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაცია 20 000-მდე აპლიკანტმა, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის 4 500-მდე სტუდენტმა, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის — 12 000-მდე აპლიკანტმა გაიარა.

*„პირველი“*



## „იბერია სითის“ დირექტორი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, „იბერია სითის“ დირექტორმა გიორგი გოგიბერიძემ 2005-2008 წლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 1 626 291 აშშ დოლარი თაღლითურად მიისაკუთრა:

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი გოგიბერიძე მის კუთვნილებაში მყოფი სამშენებლო კომპანიის, შპს „იბერია სითის“ სახელით 2005-2008 წლებში მოქალაქეებთან აფორმებდა ხელშეკრულებებს, რის საფუძველზეც იღებდა ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების გადახდის შემდეგ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „ა“ და „ბ“ კორპუსს, აშენების შემდეგ კი ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ბინებს (შესაბამისი ფართებით) საკუთრებაში გადაუფორმებდა კონტრაქტორ მოქალაქეებს.**

**ნაკისრი ვალდებულებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების მიუხედავად, საცხოვრებელი კორპუსების აშენების შემდეგ, გიორგი გოგიბერიძემ ბინები მოტყუებით, თითქოსდა მის საკუთრებას წარმოადგენდა, იპოთეკით დატვირთა და შემდგომში გაასხვისა სხვა, არაკონტრაქტორ მოქალაქეებზე.**

**ამ გზით, გიორგი გოგიბერიძემ დამატებით მიიღო უკანონო შემოსავალი და თაღლითურად დაეუფლა 2005-2008 წლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხას, 1 626 291 აშშ დოლარს, რამაც კონტრაქტორი მოქალაქეები მნიშვნელოვანად დააზარალა.**

**ამ ეტაპზე, დადგენილია, ათეულობით მოქალაქის კუთვნილი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტი.**

**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 6-დან 9 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.**

**გამოძიება ასევე გრძელდება ზემოხსენებულ საცხოვრებელ კორპუსებსა და ასევე, გოგიბერიძის მიერ აშენებულ სხვა საცხოვრებელ კორპუსებში განთავსებული ბინების განკარგვის კანონიერების შემოწმების მიზნით“.**

*„პირველი“*

# „მეც ბევრი შეცდომა დავუშვი...“



## დიმიტრი შაშკინი ნაციონალებს ურჩევს, კომპლექსებისგან გათავისუფლდნენ და პარტიის მზარდ რეიტინგზე არ ისაუბრონ

რუსუდან შელია
557-100-768

**ნატო თანამშრომლობის ახალ, ძირითად პაკეტს გვთავაზობს, საქართველოს თავდაცვის მინისტრი კი ალიანსში სრული ინტეგრაციისთვის მზადყოფნის არარსებობაზე საუბრობს. პარალელურად, რუსეთიდან მუქარისშემცველი განცხადებებიც აქტიურ ფაზაში შედის — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ „თავდაცვითი ზომების მიღების“ შესაძლებლობაზე ალაპარაკდა. საგარეო პერსპექტივებსა და პარალელურად, რუსეთიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე, „ვერსიას“ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ესაუბრა, რომელიც რთული საგარეო გამოწვევების ფონზეც კი, ფიზიკის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის დახურვას აპროტესტებს.**

— განათლების მინისტრ სანიკიძის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ყველაზე დიდი, მდიდარი და გავლენიანი ფიზიკის ცენტრ CERN-ის საზაფხულო სკოლა საქართველოში გაუქმდა. სამაგიეროდ, ბავშვები ტულაში რუსული ენის ოლიმპიადაზე წავიდნენ. ამ სკოლაში სასწავლებლად ბავშვები სომხეთიდან, მოლდოვადან და აზერბაიჯანიდან ჩამოდიოდნენ. ლექციებს კი, საკმაოდ წარმატებული, უცხოეთიდან მოწვეული ფიზიკოსები კითხულობდნენ. წარმატებული მოსწავლეები სწავლას შვეიცარიაში აგრძელებდნენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტი იყო რეგიონის მასშტაბითაც. სანიკიძის ქმედებების ანალიზს დიდი ხანია თავი დავანებე, რადგან არანაირ ლოგიკას ექვემდებარება. ორი ვარიანტია: განათლების სამინისტროში მავნებლები არიან ან არაპროფესიონალები, რომლებსაც არ ესმით, რას აკეთებენ.

**— რა ვარიანტები გაქვთ თავდაცვის მინისტრის განცხადების შეფასებისას — საქართველო ნატო-ში ინტეგრაციისთვის მზად არ არისო?**

— „ქართულ ოცნებასთან“ იდეოლოგიურ პოზიციებს გვერდზე გადავდებ და გულწრფელად გეტყვით, რომ მართლაც სამწუხარო მდგომარეობაში ვართ. იმ ფონზე, როცა ხელისუფლება მუდმივად ამტკიცებს, რუსეთი არ უნდა გავაბრაზოთ და მისი მისამართით ზედმეტად კრიტიკული განცხადებები არ გავაჟღეროთ, არც ნატო-ს ქვეყნები და ბრიუსელი შევაწუხოთ ზედმეტადო, თავდაცვის მინისტრი აცხადებს — ნატო-ში შესასვლელად საქართველო მზად არ არისო. იქნებ, ბატონმა ალასანიამ ისიც აგვიხსნას, ნატო-ს მოთხოვნებიდან რომელი არ შეასრულა და რა მიზეზით არ ვართ ალიანსში გაწევრიანებისთვის მზად? გლობალური პოლიტიკა ორღობეში ჭორაობა არ არის. აქ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. ერთ სიტყვას, წერტილსა და მძიმესაც კი. თანაც ირაკლი ალასანია პარლამენტის წევრი და რიგითი დეპუტატი არ არის, თავდაცვის მინისტრია! ანუ ლოგიკურად, თავისი უწყების სახელით საუბრობს, რაც ნიშნავს, რომ თავდაცვის სამინისტრომ, რომელსაც ბოლო ორი წელია ალასანია ხელმძღვანელობს, კონკრეტული მოთხოვნები არ შეასრულა!

**— ფიქრობთ, ამ მხრივ მხოლოდ ბოლო ორი წელია პრობლემა?**

— არ ვარ მიამიტი. ყველამ კარგად ვიცით, რომ ნატო-ში გაწევრიანების გზა პოლიტიკურ კონტექსტში განსახილველია, რადგან რამდენიმე ქვეყანა რუსეთის ფაქტორზე საუბრობს. წლების განმავლობაში სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობდით — ზოგი დავარწმუნეთ, რომ საქართველოსთვის მაპ-ი უნდა მიენიჭებინა, ნაწილი დარწმუნების პროცესში იყო. დღეს კი, ამ მიმართულებით არავინ ზრუნავს. არადა, თუ ნატო არ შევაწუხეთ, ისინი არც ჩვენთვის შეწუხდებიან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ირაკლი ალასანიას განცხადების ფონზე, ამერიკამ რატომ უნდა შეიწუხოს თავი და რატომ უნდა დაარწმუნოს პარტნიორები საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების აუცილებლობაში?! ნაციონალური მოძრაობა გულახდილ პოლიტიკას ეწეოდა, ავღანეთსა და ერაყში ნატო-ს ოპერაციებში ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორები გავხდით და ამას შესაბამისი შედეგი უნდა მოყოლოდა, მაგრამ ახლა თავად თავდაცვის მინისტრისგან გაუგებარ განცხადებებს ვისმენთ.

**— ავღანეთში ნატო-ს ოპერაციებში ახლაც ვმონაწილეობთ, ქართველი ჯარისკაცები ცენტრალურ აფრიკაშიც გაემგზავრნენ სამხედრო მისიით.**

— ნატო-ს ოპერაციებზე უარისთქმა და პროცესის შეჩერება მარტივი არ არის! გლობალურ პოლიტიკაში, საქართველოს აგრესიული და პროაქტიურად ორიენტირებული პოლიტიკის გატარება სჭირდება, რათა ჩვენდამი ჯერ კიდევ სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნები მაპ-ის მინიჭებას დათანხმდნენ. მთავრობის ქმედებების ფონზე ამერიკა არ შეწუხდება გერმანია დაარწმუნოს, რომ სწორედ გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება მნიშვნელოვანია.

**— 27 ივნისამდე მივედით და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს ვაწერთ. ეს პროცესი სკეპტიკურად განწყობილი სახელმწიფოების დამოკიდებულებას რატომ ვერ შეცვლის?**

— ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას ნატო-სთან კავშირი არ აქვს. რაც შეეხება რუსეთს, ხელმოწერა ავტომატურად გულისხმობს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა შეიცვლება. რუსეთთან არსებული პრეფერენციების გაუქმება დოკუმენტშია ასახული და მას ვერავინ შეცვლის. ისიც ფაქტია, რომ ქართული ღვინისა და „ბორჯომის“ დაგემოვნების შემდეგ, რუსეთი კეთილშობილი არ გახდა, რადგან ის ბოროტების იმპერიაა. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ვერ ვამჩნევ, რომ რუსეთიდან მომავალი გამოწვევევისა და რისკებისთვის მზადაა. ჩვენ მიამიტი ხელისუფლება გვყავს, რომელიც აფხაზეთში ანქვაბის შეცვლას მხოლოდ შიდაგადატრიალებას უკავშირებს. „ქართული ოცნებისთვის“ რუსეთის აგრესია უფრო ბუნდოვანია, ვიდრე პენტაგონისთვის აპოკალიფსის ალბათობა, რომელსაც ამ მიმართულებითაც კი შესაბამისი გეგმა აქვს მომზადებული.

**— საგარეო გამოწვევების ფონზე, ადგილობრივი არჩევნების შედეგებიც შეაფასეთ — ორ კვირაზე მეტია ქართველი პოლიტიკოსები პროცენტებზე ვერ შეთანხმდნენ.**

— პირველ ეტაპზე, როცა პოლიტიკური ძალა მხარდაჭერას კარგავს, ამომრჩეველი არჩევნებზე არ მიდის და ჩუმ პროტესტს ამ ფორმით გამოხატავს. მეორე ეტაპზე, არჩევნებში ხალხი ხელისუფლების ოპონენტს აძლევს და თუ ამ ფორმით მის შეცვლას ვერ ახერხებს, დემონსტრაციებსა და ქუჩის აქციებზე გადადის. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც სწორედ პირველი ეტაპის მომსწრენი გავხდით, რადგან მთავრობა ქვეყანაში არსებულ ფაქტორებს სერიოზულად არ აფასებს, მათ შორის, უმუშევრობის პრობლემას, სოციალურ საკითხებს და ა.შ. რეალურად ადამიანებს ყოველდღიური გადარჩენის პრობლემა აწუხებთ. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით იურისტი ვარ, მათემატიკა კარგად ვიცი. გულწრფელად გეტყვით, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის აღმავლობაზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია, თუმცა რეპრესიებისა და ძალადობის ფონზე, ისიც წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რომ ტრადიციული ელექტორატის შენარჩუნება მოახერხა. ვიმეორებ, ეს უდავოდ წარმატებაა!

**— ახლა თქვენ გუნდს უპირისპირდებით, რომელიც სწორედ ორი კვირაა ხელისუფლების კრახსა და ნაციონალური მოძრაობისადმი ნდობის აღდგენაზე აპელირებს.**

— მთავარია, ნაციონალური მოძრაობა კომპლექსებისგან გათავისუფლდეს, რომელიც თავისი წარსულის გამო გაუჩნდა. მოსახლეობა მუდმივად წარსულზე საუბარს გმობს და ეს პოლიტიკოსებს უნდა გვესმოდეს. 11 წლის განმავლობაში ერთ-ერთი წამყვანი ტრენერი ვიყავი და პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო კამპანიის წარმართვის წესებს ვასწავლიდი. კარგად ვიცი, რომ საარჩევნო კამპანიის მთავარი კომპონენტი მომავალზე საუბარია. თუმცა ბოლო ორი წელია მხოლოდ წარსულზე ვსაუბრობთ. ვინც მომავალზე პირველი დაიწყებს საუბარს, წარმატებაც მის მხარეს იქნება.

**— მომავალზე ვინ უნდა ისაუბროს, როცა პარტიაში სწორედ წარსულთან ასოცირებული ძველი სახეები ლიდერობენ?**

— საქართველოში პოლიტიკური სივრცე ძალიან პატარაა. აქედან გამომდინარე, საკითხის დაყენება პარტია ძველმა სახეებმა დატოვონო, არასწორია. ყველა მათგანს გარკვეული რესურსი აქვს. მათთვისაც მთავარი პრობლემა კომპლექსებია — თუ წარსულში შეცდომები დავუშვით, პოლიტიკური პასუხისმგებლობაც დაგვეკისრა, რადგან არჩევნებში დავმარცხდით. ახლა კიდევ ორი წელი დაშვებულ შეცდომებზე ვისაუბროთ? ყველა უშვებს შეცდომას, მეც ბევრი შეცდომა დავუშვი, მაგრამ შეცდომას არ უშვებს ის, ვინც არაფერს აკეთებს. „ქართულმა ოცნებამაც“ უამრავი შეცდომა დაუშვა, რომელსაც მომავალში აუცილებლად შეახსენებენ. ისიც ფაქტია, რომ 9 წლის განმავლობაში ბევრად მეტი გაკეთდა, ვიდრე ხარვეზი იყო.

**— ამ ურთიერთშეხსენების პროცესში ხალხის ინტერესი რომ იკარგება, გრძნობთ? ახალი პოლიტიკური ძალებიც არ დაგავიწყდეთ, რომლებიც ნაციონალური მოძრაობისთვის მეორე ადგილის ჩამორთმევისთვის იბრძვიან.**

— ხალხის ინტერესი მაშინ იქნება დაცული, როცა პოლიტიკოსები მომავალზე საუბარს დაიწყებენ. ხალხს კარგი მეხსიერება აქვს და ისიც კარგად ესმის, რა შეცდომა იყო ფატალური და რა — რეფორმის ნაწილი. გარწმუნებთ, მეორე ადგილის პრობლემა ნაციონალურ მოძრაობას არ შეექმნება, რადგან პარტიის 27%, დანარჩენი ყველა ოპოზიციური პარტიის ჯამის ტოლია. ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში ულტრააგრესიული ადამიანები არიან, მაგრამ მათი პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ამ ხმებს ზედა ზღვარიც აქვს და ის ვერ გაიზრდება. თუ სადმე მეორე ტური დაინიშნა და ნინო ბურჯანაძემ ან პატრიოტთა ალიანსმა ნაციონალურ მოძრაობას მოუგო, ამას მარტივი ახსნა აქვს: ადგილობრივი არჩევნები პიროვნულ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

# რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საბიუჯეტო სახსრებს ვერ ხარჯავს?



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია კატასტროფულად ჩავარდა. არადა, ამ მიზნით, 6 თვის ბიუჯეტი 127 500 000 ლარით გაიწერა, 5 თვეში კი მხოლოდ 36 000 000 ლარი დაიხარჯა. გზების გარდა, საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგებაც პრობლემაა, რომლის მოსაგვარებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში 50 000 000 ლარი გაითვალისწინეს, 5 თვეში კი მხოლოდ 17 000 000 ლარის სამუშაოები დაფინანსდა. ეკონომიკის ექსპერტების შეფასებით, ინფრასტრუქტურის სფეროს ჩავარდნა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს და სამუშაო ადგილების შექმნასაც ამუხრუჭებს. რა ვითარებაა რეალურად და რატომ ვერ მოხერხდა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის სრულად ათვისება-გახარჯვა? „ვერსიას“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, თემურ მურღულია ესაუბრება.**

## რა მიზეზით შეფერხდა წყალმომარაგების პროექტები და როგორ ზოგავენ სატენდერო თანხას სამინისტროში

— უმნიშვნელოვანესია რამდენიმე ასპექტი. პირველ რიგში, ამ თანხის ათვისება სამუშაოების შესრულებისგან უნდა განვასხვაოთ. ეს ნიშნავს, რომ 1 კილომეტრი გზის დაგების, ან წყალმომარაგებისთვის 10 გრძივი მეტრი მილების გაყვანისათვის გამოცხადებულ ტენდერში, საპროექტო ფასი შემცირდეს. რეალურად, ისევ 1 კილომეტრი გზა დაიგება და წყალმომარაგებისთვისაც, 10 გრძივი მეტრის მილებს ჩავდებთ, მაგრამ სატენდერო პროცესმა შესაძლოა, ამ სამუშაოების ღირებულება მკვეთრად შეამციროს. უმნიშვნელოვანესია გვესმოდეს, რას ვაკეთებთ და რას ვხარჯავთ. სამუშაოების შესრულება, ყოველთვის არ უდრის ბიუჯეტის ათვისებას და საბედნიეროდ, ჩვენს პირობებში გამოცხადებულ ტენდერებში, ამ ტიპის სამუშაოების შესრულების ღირებულება შემცირებულია. საბიუჯეტო თანხების ათვისება, ეს ტერმინი, იმ ადამიანების მიერაა შემოგდებული, რომლებსაც სერიოზულად აწუხებთ, რომ ჩვენ, ძველი სატენდერო ფასები მკვეთრად დავაგდეთ.

**— რას ნიშნავს სატენდერო ფასების „დაგდება“ ან როგორ შეამცირეთ ტენდერით გამოცხადებული სამუშაოების ღირებულება?**

— უმეტესად, პროექტების რევიზია განვახორციელეთ. ავიღეთ ძველი პროექტები, გავაუქმეთ წინა ტენდერის შედეგები, თავიდან გადავატენდერეთ და გაცილებით ნაკლები ფასი მივიღეთ. პირობითად, თუ 1 ლარი უნდა დაგვეხარჯა, ახლა 80 თეთრს ვხარჯავთ. 20 თეთრი კი, დიდი ალბათობით, ვიღაცის კერძო ინტერესს დავაკელით. შესაბამისად, სწორედ ეს ადამიანები ნერვიულობენ და მედიის საშუალებით ცდილობენ, დაგვაბრუნონ ხარჯვის არაეფექტურ რეჟიმში. არადა, რეალურად, დანაზოგის მოპოვება შევძელით. ბუნებრივია, ეს დანაზოგიც დაიხარჯოს, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი პროექტების დიდი ნაწილი სესხია, არაეფექტური იქნება, თუ 1 კმ გზაში, პირობითად, ისევ 1 ლარს დავხარჯავთ. თუ 1 ლარის 80 თეთრამდე შემცირება მოვახერხეთ, გვინდა, 1 კმ-ის ნაცვლად, ამ ფასში 1 კმ და 200 მეტრი დავაგოთ. წინა წლებში, განსაკუთრებით ნაციონალების ხელისუფლების დროს, ასეთი პრაქტიკა იყო — კვარტლის ბოლოს შესრულებულ სამუშაოებზე კეთდებოდა კორექტირება. 2006 წლის შემდეგ, ყველა წლის სახელმწიფო ბიუჯეტს ეს პროცესი გავლილი აქვს. შესაბამისად, ლამაზად „არგებდნენ“ ამ სამუშაოებს საბიუჯეტო შესრულებაზე და ითვლებოდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის 100% გაიხარჯა. ჩვენ სხვა გზით მივდივართ — წლის დასაწყისში, I კვარტლის შესრულება მაქსიმალურად დავგეგმეთ. ეს ნიშნავს, რომ თუ I კვარტლის 90-ვე დღე ხელშემწყობი იქნება სამუშაოებისთვის, არცერთ დღეს დავკარგავთ და ამიტომ, გეგმა მაქსიმალურად გავწერეთ. ახლა გვედავებიან, I კვარტალი არასწორად რატომ დაგეგმეთო. I კვარტლის მაქსიმალურად დაგეგმვა კარგი პრაქტიკაა, რათა ამ გეგმის შესრულებაზე ვიყოთ ორიენტირებულები. I კვარტალი მინიმალურად, პირობითად, 45 სამუშაო დღეზე რომ დაგვეგეგმა და რეალურად, ამ პერიოდში 70 სამუშაო დღე ყოფილიყო, თანხა არ გვეყოფოდა. იძულებულები ვიქნებოდით, შეუსრულებელი ვალდებულებები II კვარტალში გადაგვეტანა, რაც უკვე სხვა პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული. წარმოიდგინეთ, I კვარტალში სამუშაო შესრულდა, მაგრამ კონტრაქტორს ფულს ვერ მივცემდით, ვალდებულებებს II კვარტალში გადავიტანდით და სერიოზულ პრობლემებს შევქმნიდით. რაც შეეხება II კვარტალს, როცა I კვარტალი ცუდი გვაქვს, ვცდილობთ, ეს ჩამორჩენა მაქსიმალურად გამოვასწოროთ. ამ მიზნით, ყველა ჩვენი კონტრაქტორის ძალისხმევა მივმართეთ, რომ I კვარტლის გრაფიკს მაქსიმალურად დავწეოდით და თუ I კვარტალში, გეგმის 50%-იანი შესრულება გვქონდა, ახლა 80%-მდე ავდივართ. ეს ნიშნავს, რომ სამუშაოები, პრაქტიკულად, 100%-ით შევასრულეთ. ეკონომია კი, რასაც ტენდერების საშუალებით მივაღწიეთ, ისეთ სურათს გვაძლევს, თითქოს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა არ დაგვიხარჯავს.

**— ტენდერებიდან მორჩენილ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში აბრუნებთ?**

— არა, ეს თანხა ახალ პროექტებში გადატენდერდება და წლის განმავლობაში, სხვა ახალი პროექტები დაიწყება. მაგალითად, თუ მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებული ტენდერიდან მოგვრჩა გარკვეული თანხა, ამას ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოცხადებული ტენდერისთვის ვერ გამოვიყენებთ, რადგან მათი სატენდერო პროცედურები განსხვავდება. მსოფლიო ბანკის სატენდერო პროცედურა 3-4-თვიანია, ხოლო ევროპის საინვესტიციო ბანკის — 4-5-თვიანი. შესაბამისად, მსოფლიო ბანკის ტენდერიდან მორჩენილი თანხა ისევ ამ ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში უნდა დახარჯო. სამთავრობო პროექტებში, ასეთი პრობლემა არ არის. როცა დონორი მთავრობაა, ტენდერი 21 დღეში ტარდება და დასრულებისთანავე ათვისებადიაა. მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის პროექტები, რაც ჩვენი სამინისტროს პროექტების 80%-ს შეადგენს, იქ რამდენიმეთვიანი შეფერხება, ჩვეულებრივი სატენდერო პროცესია. ორი კვარტლის შედეგით, პრაქტიკულად, გეგმის 80% შევასრულეთ, მესამე კვარტალში კი ყველა შესაძლო, გამოტოვებულ სამუშაოს დავასრულებთ. შესაბამისად, შიში, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის დიდ რაოდენობას წლის ბოლოსთვის დახარჯავთ, აპრიორი, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. მნიშვნელოვანია, რომ რაც ამ სამინისტრომ 2012 წელს დახარჯა, იმაზე ბევრად მეტი დაიხარჯა 2013 წელს, ახალი ხელისუფლების პირობებში. 2014 წელს კი, 2012 წელთან შედარებით 25%-ით მეტი დავხარჯეთ. გარდა იმისა, რომ რეალურად, მართლაც ბევრ საქმეს ვაკეთებთ, ქვეყნის ეკონომიკაში, ჩვენგან ფულიც დიდი რაოდენობით გადის. შესაბამისად, ექსპერტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ეკონომიკაში ჩვენი სამინისტროდან ნაკლები თანხა შედის, საზოგადოება შეცდომაში შეყავთ.

**— ელექტრონულ ტენდერში ისედაც ის კომპანია იმარჯვებს, ვინც ნაკლებ თანხას პირველი დააფიქსირებს. თქვენ მიერ გამოცხადებულ ტენდერებშიც რომ თანხის ეკონომიას აკეთებთ, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე ცუდად არ იმოქმედებს?**

— ჩვენ სამინისტროში ორი, მსხვილი სექტორის პროგრამებია. დონორების პროგრამები, რომლებსაც შესყიდვების ინდივიდუალური სისტემა აქვთ და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურულ სისტემაში არ ხვდება და სამთავრობო შესყიდვები. ვცდილობთ, სამთავრობო შესყიდვებში მაღალი ხარისხის პრინციპი დავიცვათ, მაგრამ ხშირად ამის საშუალებას კანონი არ გვაძლევს. სწორედ იმიტომ, რომ ფასების შემცირებამ ხარისხზე გავლენა არ იქონიოს, სამინისტრომ ელექტრონულ შესყიდვებთან დაკავშირებით, გარკვეული ცვლილებების პროექტი შეიმუშავა, რასაც ძალიან მალე წარვუდგენთ მთავრობას. დონორ ორგანიზაციებს საკმაოდ მრავალეტაპიანი, კომპლექსური ზომები აქვთ შემუშავებული, რათა სამუშაოს ხარისხში პრობლემა არ შეიქმნას. თუ ჩვენს ტენდერებში მხოლოდ ფასში ეჯიბრებიან, დონორების გამოცხადებულ ტენდერებში ბევრ კომპონენტში უწევთ კონკურენცია. ჩვენ მიერ გამოცხადებულ ტენდერში, პირველ რიგში, გვაინტერესებს, რამდენად ეფექტურია ესა თუ ის ხარჯი. მაგალითად, ბათუმის ნაპირსამაგრი პროექტის ღირებულება 15 000 000 ლარით შემცირდა მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ვთქვით ოქროს ქვიშებზე და ადგილობრივი ქვიშით გავამაგრებთ ნაპირს. ამ 15 000 000 ლარის გამოყენება, საზოგადოებისთვის გაცილებით სასარგებლო საქმისთვის შეიძლება დღეს, ვიდრე ოქროს ქვიშის დაყრა იქნებოდა. თუ ვინმეს ამ ოქროს ქვიშებში რამე ინტერესი ჰქონდა, რა თქმა უნდა, ვაზარალეთ. მაგალითად, თბილისში, ნაძალადევის რაიონში მეორე, გადასასვლელი ხიდის პროექტი, რომლითაც ნაძალადევის რაიონი, დიდუბეს, კერძოდ, წერეთლის ქუჩას უნდა დაკავშირებოდა, ასევე 15 000 000 ლარით შევამცირეთ. ოღონდ, ამ შემცირებით, მისი ფუნქცია არ შეგვისუსტებია, მარტივად რომ აგიხსნათ, ჩვენს წინამორბედებს საკმაოდ „გაპრანჭული“ ხიდის პროექტი ჰქონდათ, მაგრამ გაცილებით იაფი ხიდის პროექტირება დავიწყეთ, რომელსაც მეტი გამტარობა ექნება და ფუნქციონალურადაც უფრო დაიტვირთება.

**— გზების გარდა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების ჩავარდნაშიც გდებენ ბრალს. მაგალითად, წყალმომარაგება ისევ სერიოზული პრობლემაა, რისთვისაც 50 000 000 ლარი გამოყო ბიუჯეტში, მაგრამ მხოლოდ 17 000 000 ლარი დაგიხარჯავთ.**

— წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, ერთადერთი პრობლემაა, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკის პროექტები, უშუალოდ პროექტის დიზაინის მხრივ, ძალიან ცუდი ხარისხის იყო, რაც წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით მივიღეთ. ჩვენ რომ პროექტები გადმოვიბარეთ, კასპის წყალმომარაგების პროექტი იმდენად დაბალხარისხიანი იყო, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკი მეორე პროგრამის მოცემაზე უარს ამბობდა. მინისტრი, ელგუჯა ხოკრიშვილი ჩავიდა და უთხრა, რომ სამინისტროში სრულიად ახალი მენეჯმენტი მოვიდა, განუმარტა, როგორ აპირებდა პროექტის განხორციელებას და ამის შემდეგ მოგვცეს ევროპის საინვესტიციო ბანკის მეორე პროგრამა, რომელიც საქართველოს 28 ქალაქსა და დასახლებაში, გააუმჯობესებს წყალმომარაგებას. ტყუილია, როცა ამბობენ, რომ საბიუჯეტო თანხების სრულად არ დახარჯვა პროექტების შეჩერებას იწვევს, სინამდვილეში, პროექტები დაბალი ხარისხის გამო ჩერდება. დონორების არცერთი პროგრამა ერთწლიანი არ არის, ერთ წელიწადში ამ პროგრამების მხოლოდ ნაწილი სრულდება.





მეგობრებისთვის, უბრალოდ, ჰოიზერი

ლუდი, რომელიც გაგრძნობინებთ გერმანული ცხოვრების გემოს

„გერმანიის შუაგულში, ქალაქ ჰანოვერში არის უბანი ჰერენჰოიზერი, რომელიც განთქმულია ლამაზი ბარებით და განსაკუთრებული გემოვნების მქონე შეძლებული მამაკაცებით. ისინი გამორჩეული მხედრები და მეომრები იყვნენ, მათ სახლებში შეგეძლოთ დაგეგემოვნებინათ განსაკუთრებული, გამორჩეული, კლასიკური გემოს მქონე ლუდი. სწორედ ამ უბანში შეიქმნა მისივე სახელობის ლუდი ჰერენჰოიზერი, რომელიც ინარჩუნებს და ატარებს საუკეთესო ტრადიციებს გერმანიიდან“.



# „ექვსი „სუ-25“-ის გაყიდვა დიდი დანაკლისი იქნება საქართველოს სამხედრო ძლიერებისთვის“

## რა კითხვებსა და ეჭვებს უჩენს სამხედრო ექსპერტებს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება მოიერიშე თვითმფრინავების გაყიდვის თაობაზე

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

თავდაცვის სამინისტრო შეიარაღებაში არსებული 12 ერთეული „სუ-25“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავიდან, ხუთის გაყიდვას გეგმავს. გენერალური შტაბი ამტკიცებს, რომ ხუთივე „სუ-25“ „შეკეთებასა და რემონტს არ ექვემდებარება“: **„შეიარაღებული ძალების საავიაციო პარკი საჭიროებს განახლებას. მათ შორის არის ხუთი ერთეული „სუ-25“ მოიერიშე თვითმფრინავი. მათი გაყიდვა იგეგმება, რადგან ისინი ამორტიზირებულია და გარემონტებას არ ექვემდებარება. რამდენიმე წელია მათი ექსპლუატაცია სიძველის გამო ვერ ხერხდება. „სუ-25“-ის გაყიდვის საკითხი დღის წესრიგში დგას, თუმცა ზუსტი დრო განსაზღვრული არ არის. მოიერიშეების გაყიდვით მიღებული თანხები მოხმარდება საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებას. თავდაცვის სამინისტროს ამოცანაა, საქართველოს ჰქონდეს თანამედროვე შეიარაღება და საავიაციო პარკის განახლებაც ამ მიზანს ემსახურება“.**

წინა ხელისუფლების წარმომადგენლები თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას მკაცრად აკრიტიკებენ. ჯერჯერობით, პასუხგაუცემელი კითხვები აქვთ სამხედრო ექსპერტებსაც.

სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის, **ანდრო ბარნოვის** განცხადებით: **„როცა ჯერ კიდევ წინა გაზაფხულზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, მთავრობა „დელტას“ კომპლექსის ეკონომიკის სამინისტროზე გადაცემასა და გაყიდვას აპირებსო, გამოვარდნენ მინისტრები, მეოცნებე დეპუტატები და პრეზიდენტი ტყუილში დაადანაშაულეს. წელიწადზე ნაკლებ დროში, მთავრობამ მართლაც გადასცა „დელტა“ ეკონომიკის სამინისტროს და საწარმოს მუშაობა სრულად გააჩერეს. ვერ გაყიდეს, თავიდანვე უნდა სცოდნოდათ, მისი გაყიდვა, სპეციფიკიდან გამომდინარე, მარტივი არაა, მაგრამ მცდელობა გრძელდება, საწარმო კი უქმადაა. ასეა თუ ისე, მთავრობის უტიფარმა ტყუილმა ისე ჩაიარა, ბევრმა ვერ შეამჩნია. კრემლში მშვიდად არიან, ჩვენი თავდაცვის მრეწველობა კი იძირება. თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საწარმოს გაჩერებას არ დასჯერდნენ და ახლა „სუ 25“-ების გასხვისებას აპირებენ. სისულელე და ტყუილია, თითქოს თვითმფრინავები ამორტიზებულია და ვერ შეკეთდება. ჯერ ერთი, თუ რომელიმე ხომალდს ფრენის რესურსი ამოეწურა, შესაბამისი სერვისის შემდეგ მისი განახლება შესაძლებელია. და თუ მართლაც აღარ კეთდება და გამოუსადეგარია (რაც წარმოუდგენელია), ვის უნდა მიყიდონ ეს ჯართი? სამწუხაროა, რომ გონივრული ტყუილის მოსაგონებლადაც კი არ იწუხებენ თავს. თავდაცვაში ასევე განაცხადეს, ფლოტის განახლებას ვაპირებთო. ახალი ფრანგული ვერტმფრენების გაყიდვაც ამ მიზანს ემსახურება?“**

თავდაცვის ექსმინისტრი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი **ბაჩო ახალაია** ერთ-ერთ სააგენტოსთან აცხადებს: **„მოიერიშე თვითმფრინავები კარგ მდგომარეობაში დავტოვე. მათი გამოყენება დაახლოებით კიდევ 20 წელი იქნებოდა შესაძლებელი და მტკიცება, თითქოს ისინი უვარგისია, მხოლოდ თეთრის შავად წარმოჩენაა. მეტიც, ჩვენ არათუ ამ „სუ-25“-ების მოვლა-პატრონობა, არამედ ახლის წარმოებაც შეგვიძლია. საქართველო კი არ უნდა ყიდდეს, არამედ ყიდულობდეს თუნდაც ამორტიზებულებს, რადგან შეგვიძლია მათი გარემონტება და საბრძოლო ფორმაში მოყვანა. ეს მაგონებს იმ მოვლენას, როცა აფხაზეთში 1992 წლის ომის დროს საქართველომ რაღაც გაუგებარი მოტივით გაყიდა სწორედ ასეთი „სუ-25“-ები. ეს შეიძლება, მხოლოდ ერთ რამეს ემსახურებოდეს — ჩვენი ისედაც შეზღუდული თავდაცვისუნარიანობის საკმაოდ მსუყედ შესუსტებას. როგორც ყოფილ თავდაცვის მინისტრს, ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს უბრალოდ სახელმწიფო ღალატის ტოლფასია. საქართველოს თვითმფრინავის კი არა, ტყვიის გაყიდვის უფლებაც არ აქვს“.**

სამხედრო ექსპერტ **გიორგი თავდგირიძის** შეფასებით, „სუ-25“-ების გაყიდვა ბევრ კითხვას ბადებს და საქართველოს საავიაციო პარკის განახევრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მსჯელობასმოკლებულია. მისივე თქმით, საკითხი საკმაოდ პრობლემურია — 2008 წლის შემდეგ, რუსეთმა ემბარგო გამოაცხადა და ყველა ქვეყანას, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია საბჭოთა თუ რუსული საბრძოლო ტექნიკის წარმოებასთან, საქართველოსთვის საბრძოლო ტექნიკის მიყიდვა აუკრძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პრობლემა შეექმნებათ, რუსეთიდან მარაგ ნაწილებს ვერ მიიღებენ: **„თუ ისინი მართლაც მწყობრიდან გამოვიდა, ამის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს: საბრძოლო დაზიანება ან არასწორი ექსპლუატაცია. უნდა გვითხრან, რომელი მინისტრის პერიოდში გამოვიდა ისინი მწყობრიდან და რა მიზეზით. ამორტიზაცია – ასეთი თემა ბუნებაში არ არსებობს, ამაზე უფრო ხანდაზმული თვითმფრინავებია მწყობრში“.**

სამხედრო ექსპერტი **ირაკლი ალადაშვილი** მიიჩნევს, რომ, როცა ქართული სამხედრო ავიაცია ისედაც მძიმე მდგომარეობაშია, „სუ-25“-ების გაყიდვა მიზანშეწონილი არ არის: **„სავარაუდოდ, გასაყიდად ყველაზე მოძველებულ და კაპიტალური რემონტის მომლოდინე მოიერიშეებს შეარჩევდნენ, რომელთა ფასი 2-3 მლნ დოლარიც კი არ იქნება. ექვსი თვითმფრინავის გაყიდვით, თავდაცვის სამინისტრომ შეიძლება 15 მლნ დოლარიც კი ვერ აიღოს, არადა, დაახლოებით ამდენი ღირს ერთი ახალი „სუ-25“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი. სამაგიეროდ, ქართულ სამხედრო ავიაციას ექვსი მრისხანე საბრძოლო თვითმფრინავი დააკლდება, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება საქართველოს სამხედრო ძლიერებისთვის. თუ ამ ეტაპზე თავდაცვის სამინისტროს არ აქვს სახსრები, ისინი გაარემონტოს და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანოს, შესაძლებელია ამ საფრენი აპარატების დაკონსერვება-შენახვა გარემონტებამდე“.**



პატიმარი №0578

**მართალია, უარყოფენ, მაგრამ ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების მინისტრები იმ ამბებშიც ერეოდნენ, რაც არანაირად არ ეხებოდა. ეს არამარტო მინისტრებზე ითქმის. მაგალითად გიგი უგულავაც გამოდგება, აგვისტოს ომის დროს გენშტაბს მითითებებს რომ აძლევდა. არანაკლები გავლენით სარგებლობდა კულტურის მინისტრი ნიკა რურუა, რომელიც თავის სფეროს არცთუ იშვიათად სცილდებოდა...**
**2010 წლის მარტში რურუა კაბინეტში ბოლთას სცემდა და იმის მიუხედავად, რომ ღამის ორი საათი იყო, მოუთმენლად ელოდა სტუმარს. კარი გაიღო და დაცვამ ოთახში ტანმორჩილი ბიჭი შეიყვანა. მინისტრი მოსულს თბილად მიესალმა, დაცვა ოთახიდან გაისტუმრა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.**

# როგორ „გააფუჭა“ ნიკა რურუამ მეგობარი შეუსრულებელი მისიის გამო



— კარგად მომისმინე, კახა. მე და შენ მეგობრები ვართ, დიდი ხნის მეგობრები და ამიტომ გეუბნები, ჩვენი საერთო ძმაკაცი ხელს გვიშლის, ზარალასა და ტილიკას გადაურბინა წინ, მაგათ კი დიდი მაყუთი ჩადეს ჩვენს პროექტებში და მიშას დონეზეა ყველაფერი მისული. ის სირი კიდე უხეშად ერევა და რაღაც მიწის ნაგლეჯის გამო დავობს. მე დამავალეს მაგის გაჩერება. ან შენ ეტყვი და გაჩერდება, ან არა და, წამალს შენი ხელით ჩაუდებ და დავიჭერთ. სხვა გზა არაა...

— რას ამბობ, ნიკა, რა წამალი, ბავშვობის ძმაკაცი გავწირო? მაგ მიწაზე კიდევ, შენც იცი, მამაპაპისეული სახლი უდგას და არ დათმობს. წამალი მეორედ აღარ მიხსენო, თორემ იმ შენ ტილიკასა და ზარალას არ მოვერიდები. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს, — მიუგდო მინისტრს და კაბინეტიდან გავიდა.

შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კახას სახლში კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები გამოჩნდნენ. ორი მეზობლის თანდასწრებით ჩხრეკა ჩაატარეს და სახლიდან „სუბუტექსი“ და იარაღი ამოიღეს. კახა ხელბორკილით წაიყვანეს და ხუთწლიანი სასჯელი მიუსაჯეს. რამდენიმე თვის შემდეგ ის გლდანის ციხიდან რუსთავის 17 დაწესებულებაში გადაიყვანეს...

— მოკლედ, სულ ეს იყო, რაც მოგიყევი. ახლა უბნელები მეუბნებიან, ვიღაც ტიპი გადმოვიდა საცხოვრებლად და შენს ცოლს „ეპადხოდებაო“. ჩემი ცოლის სურათი ხომ ნანახი გაქვს? ლივ ტაილერს ჰგავს და ამას ყველა აღიარებს. დედა ავადმყოფი, მამა საერთოდ არ მყავს, ჩემს დას თავისი ქმარ-შვილი გასჭირვებია და თუ რამე არ მოვიფიქრე, დარხეული მაქვს, — კახა 67-ე საკანში ნარზე წამოწოლილ პატიმარ 0578-ს ესაუბრებოდა.

— აბა, რა გითხრა, კახა? აქ ნახევარ ზონას ცოლი გაუთხოვდა, დანარჩენებმა საერთოდ არ იციან, საით გაექცათ ქალები და დამიჯერე, თუ წასასვლელია, წავა. შენ ვერაფერს შეცვლი. რა თანხა უნდა იშოვო აქ?! რურუას შეუთვალე და იქნებ შეწყალებით გაგიშვას. ეგ იქნება ყველაზე ნაღდი ვარიანტი. სხვა საშველი არ ჩანს, — უხსნიდა პატიმარი.

— იცი, ეგ როგორი თემაა?! მე კაი ბიჭის სახელი მაქვს, შეწყალება რომ მოვითხოვო და არ გამიშვან, აქაც ამერევა ვითარება და გარეთაც ხომ საერთოდ. მაგრამ უნდა გავიდე, სხვაგვარად არ გამოვა, — ჩაილაპარაკა კახამ და თავის საკანს მიაშურა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამოჩნდა და იმედიანად თქვა — რურუას ველაპარაკე, პრობლემა არ იქნებაო, ხვალ მაგის გამოგზავნილი ადვოკატი მოვა და შეწყალების ფურცელს გავატან...

ადვოკატი მართლაც მოვიდა, კახამ შეწყალების ფურცელი მისცა და თან გაოცებულმა თქვა — ადვოკატმა რურუას გამოტანებული ტელეფონის ნომერი მომცა, ხვალ ზუსტად 4 საათზე ამ ნომერზე უნდა დავრეკო, მაგრამ ვისთან, წარმოდგენა არ მაქვსო.

მეორე დღეს, 4 საათზე პატიმარი 0578 და კახა ტელეფონის აპარატზე ადვოკატის მიერ მიცემულ ნომერს კრეფდა. ორი ზარის შემდეგ უპასუხეს.

— ალო, — ჩასძახა კახამ, თუმცა იქიდან გაურკვეველი ხმები ისმოდა. კახამ ხმები ვერ გაარჩია, ალო, ალო რამდენჯერმე ჩასძახა და ყურმილი მეგობარს მიაწოდა.

— ბიჭო, მგონი, რურუამ გარეკა, სექსი აქვს ვიღაცას და მაგას გასმენინებს, — გაეღიმა პატიმარს.

კახამ ყურმილი ისევ ყურზე მიიდო, ნახევარი წუთის შემდეგ გაფითრდა, ბოლოს კი არაადამიანური ხმით იღრიალა და ტელეფონის ყურმილი ჩამოგლიჯა. მასთან მაშინვე რამდენიმე „ბლატნოი“ გაჩნდა, კახუშ, რა მოხდა? — ყველა მხრიდან ეკითხებოდნენ. მან კი არაფერი თქვა, მოგლეჯილი ყურმილი დაახეთქა და საკანში ავიდა.

— რა მოუვიდა? შენც გასმენინებდა, რა ხდებოდა? — ახლა პატიმარ 0578-ს დააყარეს კითხვები.

— წარმოდგენა არ მაქვს, ვერაფერი გავარჩიე და იმიტომ მასმენინებდა, მგონი, თავადაც ვერაფერი გაიგო, — უთხრა დანარჩენებს კახას მეგობარმა და საკანში თავდახრილი ავიდა.

დილით 67-ე კამერაში კახა გამოჩნდა. ერთ ღამეში დაბერებულიყო.

— შენ არ იცი... მართლა არ იცი... ჩემს ცოლთან ჰქონდა ვიღაცას სექსი... ხმაზე ვიცანი, ის იყო... ოხ, რურუა მე შენი... მოვკლავ რომ გავალ, — ჩურჩულით, მაგრამ მტკიცე ხმით ამბობდა კახა.

— კარგი რა, ნუ გარეკე შენც. რა ცოლის სექსი, რა ხმები, რა რურუა... ჯერ გაერკვიე, მერე იფიქრე, რა უნდა ქნა, — ურჩია მეგობარმა.

— მოკლევადიანი პაემანი მაქვს სამ კვირაში და ვნახავ, რას მეტყვის, — ჩაილაპარაკა კახამ და კამერიდან გავიდა.

პატიმარი 0578 წამოდგა და სახლში დარეკა — სამი კვირის შემდეგ მოკლევადიან პაემანზე შემოდითო და საკანში დაბრუნდა.

სამი კვირის შემდეგ კახა თავის მეგობართან ერთად პაემნის ოთახში გადავიდა. შუშის მეორე მხარეს ორივეს ოჯახის წევრები იდგნენ. კახა გაფითრებული დასწვდა ტელეფონის ყურმილს და მართალია, მის მეგობარს არ ესმოდა, რაზე საუბრობდნენ, აშკარად ჩანდა, რომ ქმარი ცოლთან სიტუაციის გარკვევას ცდილობდა. რამდენიმე წამში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა, გოგონამ თავი დახარა, კახამ ჯიბიდან ბრიტვა ამოიღო და ვენებზე ორჯერ დასმა მოასწრო, მერე კი ხელში პატიმრები ეცნენ და სასწრაფოდ „ბალნიჩკაზე“ გააქანეს.

ერთ თვეში კახას განქორწინების მოთხოვნა მოუვიდა და ხელი არ მოაწერა, რამდენიმე კვირაში კი შეწყალებაზეც უარი ეთქვა. სამწუხაროდ, განქორწინებაზე პატიმრის უარი დიდი ვერაფერი შვებაა, ორი თვის შემდეგ, მოსამართლე მოთხოვნას მაინც აკმაყოფილებს...

მალე კახა ზონიდან მეექვსე, „კრიტის“ დაწესებულებაში გადაიყვანეს, პატიმარი 0578 კი მალევე გათავისუფლდა. ის დღემდე რეკავს კახას დედასთან და მის ამბებს კითხულობს, მაგრამ სანუგეშო არაფერია — პატიმრის დაჭრის გამო, კახას კიდევ 6 წელი დაუმატეს და სასჯელს ისევ მეექვსე დაწესებულებაში იხდის. მისი ცოლყოფილი კი თურმე საზღვარგარეთ წასულა, რადგან თბილისში კახას მეგობრების შურისძიების ეშინია...

**P.S. სხვათა შორის, კახას ცოლი ლივ ტაილერს საერთოდ არ ჰგავდა.**

# m²-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ვაჟა-ფშაველას გამზირის ადაპტაცია დააფინანსა

ვაჟა-ფშაველას გამზირზე, თვალში აუცილებლად მოგხვდებათ „სიცოცხლის ხის“, m²-ისა და „სოცკოდექსის“ ლოგოებით დამშვენებული პანდუსები — მათი დახმარებით, ამიერიდან, გამზირზე თავისუფლად შეძლებენ გადაადგილებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები.

ვაჟა-ფშაველას გამზირის შშმ პირთათვის ადაპტირება დეველოპერული კომპანია m²-ის ფინანსური მხარდაჭერით, სოციალური პროექტ „სიცოცხლის ხის“ კოორდინაციითა და „სოცკოდექსის“ ინიციატივით მოხდა. მთელ გამზირზე, ტროტუარები და გადასასვლელები, ჯამში 183 პანდუსით აღიჭურვება. აღნიშნულ პროექტს, შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის გამო, ზრუნვისა და კეთილი საქმის კეთების სიმბოლო „სიცოცხლის ხე“ მიენიჭა.

m²-ის სამეთვალყურეო საბჭოს გენერალური დირექტორის, ირაკლი ბურდილაძის განმარტებით, კომპანიის მიზანია ყველა მიმდინარე და სამომავლო დეველოპერული პროექტის ფარგლებში, იზრუნოს ადამიანებისთვის კომფორტული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. მათ შორის, შშმ პირებისთვის გარემოს ადაპტაციაზე. m² სამშენებლო პროექტების დაგეგმვისთანავე ითვალისწინებს შშმ პირთათვის შესაბამისი გარემოს შექმნას. **ირაკლი ბურდილაძე: „m² სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში პროექტების განხორციელებას განაგრძობს. ყველა ჩვენი სამშენებლო კომპლექსი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ჩვენ არ ვიზღუდებით მხოლოდ საცხოვრებელი ბინებით, გადავწყვიტეთ გარეთ გამოვიდეთ და შშმ პირებისთვის თბილისის ქუჩების ადაპტაციაც მოვახდინოთ“.**

„სიცოცხლის ხის“ პროექტების კოორდინატორის, **თორნიკე გურულის** განმარტებით, აღნიშნული პროექტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია: **„სიცოცხლის ხის“ ფარგლებში დაახლოებით 13 პროექტს ვახორციელებთ. ვაჟა-ფშაველას გამზირის შშმ პირებისთვის ადაპტაცია კი, მათგან, ერთ-ერთი მოწინავეა. მოხარულები ვართ, „სიცოცხლის ხე“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმაში, რომ ეს გამზირი, ყველასთვის, მათ შორის შშმ ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი იყოს“.**

„სოცკოდექსის“ დამფუძნებლის, ტატო მიროტაძის განმარტებით კი, 2012 წლის თებერვალში დაფუძნებული ორგანიზაციის მიზანი სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრისთვის შესაბამისი გზების შემუშავებაა. „სოცკოდექსმა“ პროექტის „შეზღუდვების გარეშე“ ფარგლებში, ტექნიკურად ახორციელებს ვაჟა-ფშაველას გამზირის რეკონსტრუქციას და პანდუსებით აღჭურვას. გამზირზე დამონტაჟებული პანდუსები აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს (დახრილობის კუთხე 5-დან 8 გრადუსამდე).

**ტატო მიროტაძე: „იდეა დიდი ხანი გვქონდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ კომპანიას მივმართეთ, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, იდეა „სიცოცხლის ხესა“ და m²-თან ერთად განვახორციელეთ. ვიმედოვნებ, რომ ამ გამზირის ადაპტაციით არ დასრულდება ეს კეთილი საქმე, დედაქალაქის სხვა ქუჩებზეც მოეწყობა პანდუსები და თბილისი იქნება „ქალაქი შეზღუდვების გარეშე“.**







დეველოპერული კომპანიის, „სიცოცხლის ხისა“ და „სოცკოდექსის“ დამსახურებით გამზირი 183 პანდუსით აღიჭურვება — თბილისის ქუჩების ადაპტაციის პროცესი გრძელდება!

*ნინო ლურსმანაშვილი*





# ერაყის კრიზისის გამო, საქართველოში საწვავი 5 თეთრით გაძვირდება

## საერთაშორისო ბაზრებზე ივნისში ნავთობპროდუქტის ფასი გაიზარდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ერაყში განვითარებული საომარი მოვლენების გამო, საქართველოში საწვავი გაძვირდება. ნავთობპროდუქტის იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის, ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, ერაყის მოვლენები ყოველთვის მოქმედებდა და მომავალშიც იმოქმედებს ნავთობის მსოფლიო ფასზე, რადგან ესაა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყანა. შესაბამისად, როგორც კი ერაყში ვითარება იძაბება და კრიზისი იწყება, ნავთობის ფასიც ავტომატურად იმატებს.**

ნავთობპროდუქტის იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მიმდინარე თვეში, მსოფლიოს სასაქონლო ბირჟებზე ნავთობის ფასი გაიზარდა. ივნისის დასაწყისიდან, ნავთობის ფასის 5%-იანი მატება დაფიქსირდა, რაც ბოლო ათი თვის განმავლობაში მაქსიმალური მაჩვენებელია. კერძოდ, ივნისის დასაწყისიდან დღემდე, ლონდონში 1 ბარელი Brent-ნავთობის ფასი — 108.83-დან 114.81 დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ნიუ იორკში, 1 ბარელი Light Sweet-ნავთობის ფასი 102.47-დან 107.26 დოლარამდე ავიდა: **„ნავთობის ფასის ზრდა, ძირითადად, ერაყში არსებული კრიზისითაა განპირობებული, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი, უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყანაა. ყოველდღიურად, ერაყიდან 2 800 000 ბარელი ნავთობის ექსპორტი ხორციელდება, რაც ნავთობის მსოფლიო მიწოდების 3%-ს შეადგენს. სულ უფრო მეტი საშიშროებაა, რომ საომარი მოქმედებები ერაყში, ნავთობმომპოვებელ და საექსპორტო მიმწოდებელ რეგიონებს მოიცავს, რაც თავის მხრივ, ერაყიდან ნავთობის ექსპორტის შემცირების საფრთხეს ქმნის. მიმდინარე ეტაპზე, ერაყში განვითარებული მოვლენები მსოფლიოში ნავთობის ფასის ტენდენციას განსაზღვრავს“.**

მთვრალაშვილის თქმით, ნავთობის ფასის ზრდას, ნაწილობრივ, რუსეთ-უკრაინის კრიზისმაც შეუწყო ხელი. კერძოდ, რუსული ნავთობისა და გაზის ექსპორტი ევროპაში, სწორედ უკრაინის გავლით ხორციელდება და შესაბამისად, უკრაინაშიც არსებობს საშიშროება, რომ რუსული ნავთობის ევროპაში ექსპორტი შეფერხდეს. ვანო მთვრალაშვილის განმარტებით, ნავთობის ფასის ზრდის პარალელურად, ივნისში, ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასებიც გაიზარდა: **„ვგულისხმობ ე.წ. Platt's-ის ფასს, რომელზეც დამოკიდებულია საწვავის ფასი საქართველოში. დღევანდელი მდგომარეობით, 1 ტონა ბენზინის ფასი 69.25 დოლარით, ანუ 7%-ით გაიზარდა და 1 055.75 დოლარი შეადგინა; 1 ტონა დიზელის ფასი 54.25 დოლარით, ანუ 6%-ით გაიზარდა და 943.50 დოლარს მიაღწია. ბრენდირებულ საცალო ქსელში, საწვავის საშუალო ფასი ასეთია: 1 ლიტრი სუპერის ტიპის ბენზინი — 2.27-2.33 ლარი, 1 ლიტრი პრემიუმის ტიპის ბენზინი — 2.19-2.25 ლარი, 1 ლიტრი ევრო-რეგულარის ტიპის ბენზინი — 2.05-2.15 ლარი, 1 ლიტრი რეგულარის ტიპის ბენზინი — 2.10 ლარი, 1 ლიტრი ევრო-დიზელი — 2.22-2.28 ლარი, 1 ლიტრი L-62 დიზელი — 2.10-2.12 ლარი. რაც შეეხება არაბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებს, აქ 1 ლიტრი საწვავის ფასი 5-10 თეთრით ნაკლებია“.**

ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, ნავთობპროდუქტებზე გაზრდილი საერთაშორისო ფასები და არასტაბილური გეოპოლიტიკური ვითარება, ოპტიმისტური პროგნოზის საშუალებას არ იძლევა. შესაბამისად, თუ უახლოეს პერიოდში, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობპროდუქტის ფასები არ დარეგულირდება, საქართველოში საწვავის გაძვირებას უნდა ველოდეთ:

**„საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და საწვავის ადგილობრივ ფასს, სწორედ საერთაშორისო ფასები განსაზღვრავს. ამ ეტაპზე, ნაადრევია თქმა, რომ ერაყის კრიზისი საქართველოში საწვავს გააძვირებს, რადგან სულ რამდენიმე დღეა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობპროდუქტები გაძვირდა. კარგი იქნება, დაველოდოთ, როგორ განვითარდება პროცესები, მაგრამ ახლა ერაყში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და ვითარება არც ისე მარტივია. შესაბამისად, ასე უეცრად, ნავთობპროდუქტის მსოფლიო ფასი თავის ძველ ნიშნულს ვერ დაუბრუნდება, რაც გარკვეულწილად საქართველოს ბაზარზეც აისახება“.**

საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერაყში განვითარებული მოვლენების გამო, ბენზინისა და დიზელის საწვავი საქართველოში 5%-10%-ით გაიზრდება. ამ მოსაზრებას ვანო მთვრალაშვილი კატეგორიულად არ იზიარებს და „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ თუ 1 ლიტრი რეგულარის ტიპის ბენზინის ფასი თუნდაც 5%-ით მოიმატებს, ეს იმას ნიშნავს, რომ 2.10 ლარის ნაცვლად, 2.20 ლარი გახდება, ანუ 5%-იანი მატება, ამ შემთხვევაში, ფასის 10 თეთრით ზრდას ნიშნავს, რაც საქართველოს პირობებში გამორიცხულია. ვანო მთვრალაშვილი განმარტავს, რომ ამ ეტაპზე, ქართულ კომპანიებს საკმარისი მარაგები აქვთ და ფასის მატება გამორიცხულია, მაგრამ თუ ერაყში საომარი მოქმედებები გაგრძელდება, საწვავი 10-ით კი არა, მაქსიმუმ 5 თეთრით გაიზრდება.



# პუტინის „ვენური ვალსი“

**„მკვლელი პუტინი“, „რუსეთი — ტერორიზმის ექსპორტიორი“ — რუსეთის პრეზიდენტს ავსტრიაში ქართველები და უკრაინელები ერთობლივი საპროტესტო აქციით დახვდნენ**

ლევან ხვედელიძე,
სპეციალურად „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ოფიციალური ვიზიტით ავსტრიას ეწვია. რუსი ექსპერტების მტკიცებით, პუტინს შეუძლია, სამხედრო ურთიერთობებში ეს ნეიტრალური ქვეყანა დასავლეთთან დიალოგის ზონად გამოიყენოს უკრაინის საკითხებში. მიზეზი ისაა, რომ ამ თემაზე ოფიციალური ვენის პოზიციები გაცილებით თავშეკავებულია, ვიდრე დასავლეთის სხვა ქვეყნების. პარალელურად, ავსტრიის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში, საკმაოდ დიდია.

ავსტრიაში ვიზიტი მხოლოდ მას შემდეგ დაიგეგმა, რაც რუსეთის ლიდერი ნორმანდიაში ჩავიდა, სადაც უკრაინის კრიზისის შემდეგ პირველად შეხვდა დასავლეთის ლიდერებს.

ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენლებს რუსეთის პრეზიდენტი გლობალურ საკითხებზე ესაუბრა. თემებს შორის ყველაზე დიდი ინტერესი უკრაინის კრიზისმა გამოიწვია. პუტინის განცხადებით, აღმოსავლეთ უკრაინის კრიზისის დასაძლევად არა მხოლოდ შვიდდღიანი ზავი, არამედ სუბსტანციური მუშაობაა საჭირო: **„რუსეთი უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს სამშვიდობო გეგმას მხარს უჭერს, თუმცა რეალური შედეგის მისაღწევად არა მხოლოდ ზავის გამოცხადება, არამედ აღმოსავლეთ უკრაინის ლიდერებთან ინტენსიური მოლაპარაკებებია აუცილებელი. კმაყოფილი ვარ, რომ რუსეთს უკრაინაში ჯარების შეყვანა არ დასჭირდა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი ქვეყნის ინტერესებს სათანადოდ დაიცავს“.**

ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, ვლადიმერ პუტინმა, ვენაში, მე-3 რაიონში, Schwarzenberg Platz-ზე რუსი ჯარისკაცების მემორიალი გვირგვინით შეამკო და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულების ხსოვნას პატივი მიაგო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პირველი პირის ვიზიტისას, ვენაში უსაფრთხოების ზომები გაძლიერებული იყო, ავსტრიის დედაქალაქის ქუჩებში რამდენიმე მიტინგი გაიმართა. შენობების სახურავებზეც კი იყო მობილიზებული დაზვერვა და სნაიპერები, პოლიცია და სპეცრაზმი, სახელად „კობრა“ კი, უშუალოდ მომიტინგეებს აკონტროლებდნენ. კორდონის შესასვლელთან ქართველები და უკრაინელები ერთად იდგნენ და ყვიროდნენ: „ტერორისტი პუტინი“, „მკვლელი პუტინი“.... ისმოდა გინებაც... დემონსტრანტებს თან ჰქონდათ ბანერები, რომლითაც დასავლეთს პუტინის შეჩერებისკენ მოუწოდებდნენ და აცხადებდნენ, რომ რუსეთი ტერორიზმის ექსპორტიორი ქვეყანაა.

რუსები, ამჯერადაც თავის ამპლუაში იყვნენ — რამდენიმე ახალგაზრდით დაკომპლექტებული ჯგუფი ჰყავდათ. ისინი ცდილობდნენ ქართველებისა და უკრაინელების მხარეს გადასულიყვნენ, პროვოკაციები მოეწყოთ და ჩხუბი აეტეხათ. ერთი ახალგაზრდა მამაკაცი, ქართველებთან ძაღლით მივიდა და შეურაცხყოფა მიაყენა. ვენაში ვერასდროს ნახავთ ადამიანს, რომელიც ძაღლს „ნამორდნიკის“ გარეშე ასეირნებს — ეს კანონით ისჯება და იმდენად აქვთ ავსტრიელებს კანონმორჩილება გამჯდარი, ალიკაპის გარეშე ოთხფეხა მეგობარს ქუჩაში არაფრით გამოიყვანენ. დემონსტრანტებთან მისულმა მამაკაცმა კი, ძაღლი აშკარად მათ დასაშინებლად გამოიყენა. მეორე ახალგაზრდა მამაკაცი კი აქციის მონაწილე გოგონებს მიუახლოვდა და ჩხუბი დაუწყო, ზურგზე რატომ გაწერიათო „სიკვდილი მასკალებს“. ამ ჩხუბში მეც ჩავერიე. საკმაოდ უხეშად მომიწია იმ მამაკაცის გაგდება. გოგონები კი, მომიტინგე უკრაინელებთან უფრო ახლოს მივაცილე, რათა თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ.... ასეთი არაერთი ინციდენტი გაანეიტრალა იმ დღეს ვენის პოლიციამ. მოგვიანებით კი, შევიტყვე, რომ ამ პროვოკატორების ნაწილი, რუსი წარმომავლობის ადგილობრივი იყო. ნაწილი კი, ფსბ-ს თანამშრომლები გახლდნენ.















# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 8 | | | 5 | 3 | 6 | |
| | | | | | 3 | | | |
| | | 1 | 9 | 6 | | | | |
| | 2 | | | | | 8 | | 4 |
| | 6 | 4 | | | | 1 | 2 | |
| 1 | | 9 | | | | | 7 | |
| | | | | 8 | 1 | 4 | | |
| | | | 7 | | | | | |
| | 1 | 6 | 3 | | | 5 | | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 1 | | | | | 4 |
| 6 | | | 9 | | | | 8 | 7 |
| | | | | | 5 | | | 3 |
| | | | 6 | | | 8 | 4 | |
| 5 | | | | 4 | | | | 2 |
| | 4 | 9 | | | 2 | | | |
| 3 | | | 7 | | | | | |
| 1 | 2 | | | | 8 | | | 6 |
| 7 | | | | | 6 | 5 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | 2 | | 9 | 8 |
| | 3 | | 7 | | 8 | 5 | | |
| | | | | | | 7 | | |
| 2 | 9 | | | | | | | |
| | | 1 | | 7 | | 6 | | |
| | | | | | | | 8 | 7 |
| | | 6 | | | | | | |
| | | 3 | 9 | | 4 | | 7 | |
| 7 | 5 | | 2 | | | 3 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 8 | | | | | |
| 3 | 4 | | 7 | | | | | 6 |
| | | 5 | | 9 | 3 | 8 | | |
| | 3 | 7 | | | | | | 1 |
| | | | 1 | | 9 | | | |
| 2 | | | | | | 9 | 6 | |
| | | 6 | 5 | 4 | | 3 | | |
| 5 | | | | | 7 | | 8 | 4 |
| | | | | | 6 | | 7 | |

# ყველაზე იაფი ჰანოიში მოგზაურობაა



ვიეტნამის დედაქალაქი 2014 წლის ზაფხულის ფინანსურად ყველაზე ხელმისაწვდომ ტურისტულ მარშრუტად აღიარეს. მსოფლიოს ქალაქების რეიტინგი სპეციალისტებმა ორი მოზრდილი ადამიანის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავების, აეროპორტიდან ტაქსის ღირებულების, რესტორანში ვახშმობის ფასის მიხედვით შეადგინეს. აღმოჩნდა, რომ ამ სერვისთა კომპლექსი ყველაზე იაფი სწორედ ჰანოიშია და იქ სამოგზაურო ტურისტს მხოლოდ 155,3 დოლარი სჭირდება. ტურისტებისთვის მსოფლიოს ყველაზე იაფი ქალაქების ტოპ-ათეულში, ჰანოის გარდა, შევიდნენ ასევე: ჯაკარტა (ინდონეზია, 161 დოლარი), შარმ-ელ-შეიხი (ეგვიპტე, 162 დოლარი), ბანგკოკი (ტაილანდი, 164,7 დოლარი), სოფია (ბულგარეთი, 190,5 დოლარი), კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, 193,5 დოლარი), მუმბაი (ინდოეთი, 193,7 დოლარი), კუალა-ლუმპური (მალაიზია, 198,7 დოლარი), პრაღა (ჩეხეთი, 200,7 დოლარი), ბუდაპეშტი (უნგრეთი, 203,4 დოლარი), ყველაზე ძვირი კი მოგზაურებისთვის ლონდონი აღმოჩნდა — აქ ტაქსი, ვახშამი, კოქტეილი და ღამის გათევა ოთხვარსკვლავიან სასტუმროში 528 დოლარი ჯდება.



# კოქტეილი სუნამოს არომატით

გერმანიის დედაქალაქში ახალი ბარი გაიხსნა, სადაც ყველა სასმელი პოპულარული პარფიუმერული არომატის მოტივებით მზადდება. რაგრანცეს-ის გამოცდილმა მიქსოლოგებმა ხილის ლიქიორის, ყვავილის ექსტრაქტის, ესენციისა და სხვა ნატურალური ინგრედიენტებისგან შალვატორე ერრაგამო, რმანი, ტრო, უერლაინ-ისა და მსოფლიოს სხვა ცნობილი მოდის სახლების არომატების კოქტეილი-ასლები შექმნეს. ბარის მენიუს წარმოადგენს სტენდი სუნამოებით — კლიენტებს შეუძლიათ, აირჩიონ საყვარელი სურნელი და გემო კოქტეილური ვერსიით გაუსინჯონ. დაწესებულებაში სასმელის ფასებიც შესაბამისია: მაგალითად, ერთი ბოკალი კოქტეილი ნგელიქუე ჯოირე, უერლაინ-ის მოტივებით 27 დოლარი ღირს.

# ბოტასების ლომბარდი ამოქმედდა

ნიუ იორკში ერთმა მოზარდმა ბოტასების მსოფლიოში პირველი ლომბარდი გახსნა, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ, საკუთარი სპორტული ფეხსაცმლის დაგირავებით, ხელზე სასურველი თანხა აიღონ. მაღაზია, რომელიც 16 წლის ჩეიზ რიდის საკუთრებაა, ძვირიან დიზაინერულ მოდელებს იბარებს, რომელიც შეზღუდული რაოდენობით გამოდის. ლომბარდის გახსნის იდეა ჩეიზს მაშინ დაებადა, როცა ახალი ბოტასი იყიდა და მამას 50 დოლარი ესესხა და შესთავაზა, თუ თანხას ვერ დაგიბრუნებ, ჩემს ახალ ფეხსაცმელს მოგცემო. ამის შემდეგ მამა-შვილმა გადაწყვიტა, იდეა განეხორციელებინათ, რისთვისაც ჩეიზს სპორტული ფეხსაცმლის კოლექციის — 200 წყვილი ბოტასის გაყიდვა მოუხდა. ფეხსაცმელს მხოლოდ მაშინ იბარებენ, თუკი „სუნის გამოცდას“ გაივლის. ყველა კლიენტს შეუძლია ფეხსაცმელი გამოისყიდოს ან გაყიდვას დათანხმდეს. ნახმარ ძვირიან ფეხსაცმელში, ძირითადად, 100 დოლარს აძლევენ, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა საკმაოდ დიდი თანხაც გასცეს ჯიკე ჲერონ ჩროწნ ჟეწელს-ისა და ჯიკე ირ ჟორდანს-ის ბოტასებში.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 9 | 8 | 1 | 7 |
| 8 | 7 | 1 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 9 |
| 3 | 8 | 2 | 4 | 9 | 6 | 1 | 7 | 5 |
| 9 | 1 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 7 | 1 | 9 | 3 | 8 |
| 7 | 9 | 8 | 1 | 6 | 2 | 3 | 5 | 4 |
| 2 | 6 | 5 | 9 | 3 | 4 | 7 | 8 | 1 |
| 1 | 4 | 3 | 8 | 5 | 7 | 2 | 9 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 5 | 8 | 9 | 1 | 4 | 7 | 3 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 |
| 1 | 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 6 | 2 |
| 6 | 1 | 8 | 5 | 7 | 3 | 2 | 4 | 9 |
| 9 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 3 | 7 | 2 | 9 | 6 | 4 | 8 | 5 | 1 |
| 8 | 9 | 1 | 3 | 5 | 6 | 7 | 2 | 4 |
| 5 | 3 | 7 | 1 | 4 | 2 | 9 | 8 | 6 |
| 4 | 2 | 6 | 7 | 8 | 9 | 3 | 1 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 1 | 4 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 |
| 7 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 4 | 1 | 8 |
| 8 | 6 | 4 | 7 | 1 | 9 | 5 | 3 | 2 |
| 6 | 1 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 5 | 9 | 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 |
| 4 | 2 | 7 | 3 | 9 | 1 | 8 | 6 | 5 |
| 1 | 4 | 6 | 9 | 5 | 2 | 7 | 8 | 3 |
| 3 | 8 | 5 | 1 | 6 | 7 | 2 | 9 | 4 |
| 9 | 7 | 2 | 8 | 4 | 3 | 6 | 5 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 3 | 1 | 6 | 8 | 5 | 7 | 4 |
| 5 | 8 | 7 | 4 | 9 | 3 | 6 | 2 | 1 |
| 1 | 6 | 4 | 7 | 5 | 2 | 3 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 3 | 9 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 3 | 9 | 5 | 6 | 1 | 7 | 8 | 4 | 2 |
| 7 | 3 | 1 | 2 | 4 | 5 | 9 | 8 | 6 |
| 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 1 | 3 |
| 6 | 4 | 8 | 9 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 7 | 9 | 1 | 6 | 8 | 5 | 2 | 4 | 3 |
| 5 | 6 | 3 | 4 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 2 | 5 | 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 6 | 4 | 8 | 1 | 9 | 3 | 7 | 5 | 2 |
| 1 | 3 | 7 | 2 | 5 | 4 | 8 | 9 | 6 |
| 4 | 1 | 5 | 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 1 | 2 | 3 | 7 | 4 |
| 3 | 7 | 2 | 8 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 9 | 1 | 3 | 2 | 6 | 8 |
| 8 | 2 | 3 | 5 | 7 | 6 | 1 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 6 | 4 | 8 | 2 | 3 | 7 | 5 |
| 5 | 4 | 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 5 | 1 | 4 |
| 2 | 1 | 9 | 3 | 5 | 4 | 7 | 8 | 6 |
| 4 | 8 | 2 | 1 | 3 | 5 | 6 | 9 | 7 |
| 3 | 7 | 5 | 6 | 4 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 8 | 4 | 5 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 5 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 4 |
| 9 | 7 | 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 8 | 4 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 |
| 4 | 5 | 2 | 1 | 9 | 3 | 8 | 6 | 7 |
| 1 | 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 3 | 2 | 5 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 9 | 1 |
| 8 | 2 | 3 | 9 | 5 | 1 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 6 | 1 | 8 | 4 | 2 | 5 | 3 | 9 |
| 5 | 4 | 9 | 7 | 3 | 6 | 1 | 8 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 1 | 5 | 2 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 6 | 9 | 8 | 7 | 3 | 4 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 2 | 7 | 1 | 6 | 8 | 4 | 3 | 9 |
| 3 | 8 | 4 | 9 | 1 | 2 | 7 | 5 | 6 |
| 7 | 6 | 9 | 4 | 8 | 5 | 3 | 1 | 2 |
| 2 | 1 | 5 | 3 | 7 | 6 | 9 | 4 | 8 |
| 8 | 4 | 2 | 6 | 5 | 7 | 1 | 9 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 2 | 4 | 1 | 6 | 8 | 5 |
| 1 | 5 | 6 | 8 | 9 | 3 | 2 | 7 | 4 |

მე-10 გვერდი: 1. მუზარადი; 2. მაგალითი; 3. მოკასინი; 4. „ზაპოროჟეცი“; 5. რიელი; 6. გერონტოლოგია; 7. „ლეზგინკა“; 8. თასი; 9. სკოპიე; 10. ომანი; 11. ტრასეკა; 12. რეზუსი; 13. აისბერგი; 14. პაპაია; 15. ამინ; 16. ასორტი; 17. რომი; 18. ნაია; 19. აჟანი; 20. სკვო; 21. პლუტონი; 22. გინესი; 23. კეცი; 24. პოლტავა; 25. ალბა; 26. ყაბალახი; 27. ვიგვამი; 28. ტაო; 29. გლორია; 30. ოყა; 31. ეკი; 32. იგრეკი; 33. გოა; 34. იუნგა; 35. ელისტა; 36. ამაგი; 37. აბიო; 38. აკუპუნქტურა; 39. წვიმა; 40. უაილერი; 41. ბაროკო; 42. იოგა; 43. ბუ; 44. იცინიან; 45. სნო; 46. ულტიმო; 47. მიურიდი; 48. თამუნია; 49. აბაი; 50. ომარ; 51. ზმა; 52. ლისიპე; 53. ეხი; 54. გინიოლი; 55. მილიცია; 56. სარი; 57. უხა; 58. დონი; 59. გული; 60. ტუ; 61. მაკლაი; 62. იპრი; 63. ხაო; 64. ქრომი; 65. ინდი; 66. ვინერი; 67. ნენია; 68. ქორქია; 69. მიკ; 70. პკე; 71. რანტი; 72. გიგია; 73. ნო; 74. ედო; 75. ლუიდორი; 76. გენუა; 77. დო; 78. ოკა; 79. ყბა; 80. ადიდა; 81. დარი; 82. ლი; 83. ვო; 84. დილა; 85. ალიგატორი; 86. ტაქტიკა; 87. ავგია.



1. მცენარე, რომელსაც მეორენ. ლილიფარა ეწოდება
2. თერძის ერთ-ერთი ატრიბუტი
3. პატარა კოსმოსური სხეული
4. ქვეყანა ბალტიისპირეთში
5. სუბტროპიკული ხილი
6. ეკონომიკური ტერმინი
7. სახელდახელოდ მოხარშული ხორცი
8. ... ემხვარი „მთვარის მოტაცებაში“
9. ქანდაკების ერთ-ერთი ძირითადი სახეობა
10. საზაფხულო საძოვარი
11. „ჰარი პოტერის“ ავტორი ... როულინგი
12. ძველ ბერძენთა სიმებიანი საკრავი
13. იგივეა, რაც ფერფლი
14. აშშ-ს შტატი
15. ზღაპრული ცხენი
16. წელზე შემოდებული ხელები
17. იგივეა, რაც ვედრო
18. სამოვრებით განთქმული ქალაქი რუსეთში
19. მზის საგალობელი რაჭაში
20. კომპიუტერული ინდუსტრიის გენია ... ჯობსი
21. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი
22. ხუთი სტროფისაგან შემდგარი ლექსი
23. სიცარიელე საგნის შიგნით
24. პოემა „ილიადას“ ავტორი
25. მუსლიმანთა ღმერთი
26. მარადმწვანე ხე სურნელოვანი ნაყოფით
27. სუსტი, ერთნახადი არაყი
28. მონღოლი დიდებული
29. ორი მონარქიული სახელმწიფოს კავშირი ერთ-ერთის მეფის მეთაურობით
30. ზუსტი საზომი ხელსაწყო
31. მარხილი მთიდან ჩქარული დაშვებისათვის
32. ჰოლივუდის მსახიობი
33. გაღუნული ჩხირის ფორმის ბაქტერია
34. პურეულის ნამჯის ნალეწი
35. ცხენის კუდის ბეწვი
36. პატარა ტყე მინდორში
37. გიჟი, სულელი გურიაში
38. პატარა საავადმყოფო სამხედრო ნაწილთან
39. „როკ-ენ-როლის მეფე“ ... პრესლი
40. დირიჟაბლების იტალიელი მშენებელი
41. პატარა ცხვირფართო მაიმუნი
42. საყანედ გაკაფული ტყე
43. მოლეკულის შემადგენელი ნაწილი
44. გაღმერთება, თაყვანისცემა
45. მუსიკალური გამის V ნოტი
46. აიეტის სამეფო
47. ვაზების მწკრივი ვენახში
48. ნახევრად დამშრალი ზღვა აზიაში
49. დიდი გრძელკუდიანი ხვლიკი
50. ავრორას ბერძენი „კოლეგა“
51. იგივეა, რაც გერმა
52. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში
53. სკვითების მახვილი
54. ქართველი კინოვარსკვლავი ... ჭიჭინაძე
55. კამერუნელი ფორვარდი
56. ცვილის ფიგურების მუზეუმის დამაარსებელი
57. ბანდის მეთაური
58. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
59. სამსონის სატრფო
60. მობილური ტელეფონის ფირმა
61. მდინარე აღმოსავლეთ საფრანგეთში
62. პროგრამირების ენა
63. კომიკოსი ... დე ფიუნესი
64. პატარა, ერთადგილიანი თვითმფრინავი
65. თავდავიწყებით გატაცება რამეთი
66. სამშენებლო მასალა
67. ჰექტარიშემოკლებით
68. რუსი მომღერალი
69. საფეიქრო ბანანი
70. დიაოხის მეფე
71. აბრეშუმის ჭიის „საყვარელი“ მცენარე
72. მოკლედ აჭრილი ვაზის წყვილმტევნიანი რქა
73. ჯგუფ U2-ს ლიდერი
74. ირლანდიის რესპუბლიკური არმია
75. რძეში მოხარშული ცომის წვრილი ნაჭრები
76. საფრანგეთის საკურორტო ქალაქი
77. კავკასიის მთიელთა სოფელი
78. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი
79. ცხენის რძიდან მომზადებული სასმელი
80. დახრილი, ალმაცერი
81. დასტურის აღმნიშვნელი სიტყვა ესპან. ენაში
82. ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა
83. ბრაზილიელი მწერალი
84. მაუგლის პითონი
85. ბერძ. ანბანის ასო
86. ელექტრული მუხტების მოძრაობა

Appraisal.llc

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 7 | | |
| | 3 | 2 | | | 4 | | | |
| | 8 | | 9 | 3 | | | 2 | |
| 2 | | | 8 | 7 | | 6 | | |
| 8 | | 5 | | 2 | | 9 | | 1 |
| | | 4 | | 9 | 3 | | | 2 |
| | 6 | | | 4 | 2 | | 8 | |
| | | | 1 | | | 2 | 5 | |
| | | 7 | | | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 7 | | | 5 | | | 6 |
| 5 | | 1 | 8 | | | 4 | | |
| | | | 3 | | 1 | | | |
| 8 | | | 5 | | | 3 | | 9 |
| | | | | 9 | | | | |
| 1 | | 9 | | | 4 | | | 7 |
| | | | 4 | | 3 | | | |
| | | 4 | | | 7 | 5 | | 8 |
| 6 | | | 2 | | | 7 | | 4 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 9 | | | | |
| | | 8 | | | | | 3 | |
| 6 | | 5 | | | 3 | 1 | | 8 |
| 9 | | 4 | 8 | 7 | 6 | | | |
| | | | | 3 | | | | |
| | | | 5 | 1 | 9 | 2 | | 7 |
| 7 | | 2 | 6 | | | 9 | | 3 |
| | 8 | | | | | 7 | | |
| | | | | 5 | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 7 | | |
| | | 6 | | | 1 | | | |
| | 1 | | | | 7 | 2 | | 3 |
| | | 3 | 1 | | | 9 | 4 | |
| 2 | | | 9 | | 3 | | | 7 |
| | 9 | 4 | | | 2 | 5 | | |
| 8 | | 7 | 4 | | | | 5 | |
| | | | 6 | | | 4 | | |
| | | 9 | | | | | | |

# მამის პროფესია ჩანასახზე მოქმედებს



ამერიკელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მუცლად ყოფნის დროს ბავშვის ჯანმრთელობაზე გავლენას არა მხოლოდ დედის, არამედ მამის საქმიანობის სფეროც ახდენს. მკვლევარებმა თანდაყოლილი დეფექტის მქონე და ჯანმრთელი ათასზე მეტი ბავშვის მამების მონაცემები შეადარეს, რის საფუძველზეც გამოავლინეს ის პროფესიები, რომელიც საფრთხეს უქმნის შთამომავლობას: რისკჯგუფში შეიყვანეს მხატვრები, ფოტოგრაფები, პარიკმახერები, ფიზიკოსები, სტამბის მუშები, მძღოლები, მნეები, ნავთობისა და გაზის კომპანიების, ქიმიური და კვების მრეწველობის მუშაკები; მეტიც, ზოგიერთი პროფესია პირდაპირ უკავშირდება ბავშვის ამა თუ იმ დაავადებას. მაგალითად, მებაღეების შვილებს ნაწლავების დაავადებებისკენ აქვთ მიდრეკილება, მხატვრების მემკვიდრეებს გულის, მხედველობისა და სმენის დაავადებები ემუქრებათ, ფოტოგრაფებმა და მძღოლებმა კი საკუთარი შვილები, შესაძლოა, კატარაქტითა და გლაუკომით „დაასაჩუქრონ“. როგორც სწავლულები განმარტავენ, მავნე ნივთიერებებთან კონტაქტი უარყოფითად მოქმედებს სპერმის ხარისხზე, რაც თავის მხრივ, ნაყოფის განვითარებას უშლის ხელს.



# ახალი პრეპარატი კიბოს წინააღმდეგ

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა პრაქტიკულად დაასრულა მუშაობა ახალ პრეპარატზე, რომელმაც ამორჩევით უნდა იმოქმედოს ორგანიზმზე — გაანადგუროს კიბოს უჯრედები და ამავე დროს, გავლენა არ მოახდინოს ჯანმრთელ ქსოვილზე. რუს და ამერიკელ სწავლულთა ჯგუფის მიერ შექმნილ თერაპიას „სელექციური თერაპია“ ეწოდა და მეცნიერთა ჯგუფმა კვლევების კურსი სისხლის ავთვისებიანი დაავადებებით დაიწყო. „სატრანსპორტო საშუალებად“ პოლისახარიდის მოლეკულა გამოიყენეს, რომელსაც შთანთქავს სისხლის თეთრი სხეულები — ლეიკოციტები. ონკოლოგიური დაავადებისას ისინი კიბოს უჯრედების როლს ასრულებს. სპეციალისტებმა პოლისახარიდის მოლეკულის „კუდზე“ სამკურნალო პრეპარატი „მოათავსეს“ და ამბობენ, რომ მკურნალობის ახალი კურსი განსხვავებული იქნება ამ მეტად არაჰუმანური ქიმიოთერაპიისგან, რომელიც კიბოს უჯრედებთან ერთად, ჯანმრთელ ქსოვილსაც ანადგურებს. ვარაუდობენ, რომ ახალი პრეპარატის ტესტირებას პაციენტებზე უკვე მომავალი წლიდან დაიწყებენ.

# ხალი მკერდის კიბოზე მიანიშნებს



ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში (PLOS Medicine) გამოქვეყნდა გამოკვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, ხალები შესაძლოა მკერდის კიბოს მანიშნებელი ფაქტორი იყოს. ხალები და კანის კეთილთვისებიანი სიმსივნეები ხშირად უვითარდებათ ღია ფერის კანის მქონე ადამიანებს. ბოლო ორმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ხალების გაჩენა 40-80% შემთხვევაში გენეტიკური ფაქტორებითაა გამოწვეული. ერთ-ერთ გარეფაქტორად დასახელდა მზის სხივების ზემოქმედება ბავშვობის ასაკში. ზოგმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ქალები, ვისაც ბევრი ხალი აქვს, უფრო მაღალი რისკის მატარებლები არიან ზოგიერთი დაავადების მიმართ, რომელიც ძირითადად, ჰორმონალური ცვლილებებითაა გამოწვეული. მაგალითად, ენდომეტრიოზი, ლეიომიომები და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. ხალების რაოდენობასა და მელანომას რისკს შორისაც არსებობს კავშირი და მას ერთ-ერთ გენს უკავშირებენ, რომლის ინაქტივაციასაც აქვს შეხება მკერდის კიბოსთან. ფრანგი მკვლევარები 18 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 90 ათასამდე მანდილოსანს — სხეულზე ხალების დაახლოებითი რაოდენობის დასახელებას სთხოვდნენ. აღმოჩნდა, რომ მრავალხალიანებს 13-ჯერ მაღალი ჰქონდათ მკერდის კიბოს განვითარების რისკი, ვიდრე მათ, ვისაც სხეულზე ხალები თითქმის არ აღენიშნებოდათ, თუმცა რისკის სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ეს კავშირი არც ისე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სწავლულები ამბობენ, რომ ხალებსა და მკერდის სიმსივნეს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არ არის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ერთი და იგივე გენეტიკურ ფაქტორს შეუძლია გავლენა იქონიოს ხალების წარმოშობასა და კიბოს განვითარებაზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.







GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge




